ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახალხო ფრონტის
საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 11 (16)

17 VI 1990

# სიკვდილი ან თავისუფლება!




„ჩვენ, ამ მიმართვის ავტორებმა, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, 31 მაისს დავიწყეთ უვადო შიმშილობა მოთხოვნით: **საქართველოს უზენაესი საბჭოს სესიამ დაუყოვნებლივ განიხილოს საქართველოს დამოუკიდებლობის [illegible] აღდგენის საკითხი.**

ჩვენი მთავარი ლოზუნგი ასეთია: „სიკვდილი ან თავისუფლება!", „ჩვენი შვილები მონობაში არ დაიბადებიან!"

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს, საქართველოს ყველა ახალგაზრდა მოქალაქეს — ქართველს თუ რუსს, აფხაზს თუ აზერბაიჯანელს, ოსსა თუ სომეხს... ყველას, ყველას, ყველას ვთხოვთ, მხარი დაგვიჭირონ ჩვენი საერთო სამშობლოს, ჩვენი უსაყვარლესი მამულის თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მოგმართავთ ქართველ ინტელიგენციას — პოლიტიკოსებს და პოლიტოლოგებს, მწერლებს და მეცნიერებს, ექიმებსა და მასწავლებლებს... ყველას, ყველას, ყველას — მხარი დაგვიჭირეთ! დაე, ყველა სხვა დროშაზე მაღლა აფრიალდეს ჩვენი ეროვნული დროშა!

მოგმართავთ საქართველოს ყველა მოქალაქეს!

ღმერთო, მაღალო, შენ უწინამძღვრე ჩვენს ხალხს, ჩვენს სამშობლოს — საქართველოს!!!"

ასე მთავრდება სტუდენტების მიმართვა, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიბეჭდა. მანამდე კი, 2 ივნისს, გამოქვეყნდა გაფიცვის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება:

„ამა წლის 31 მაისს უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა გამოაცხადა უვადო, არაპერმანენტული შიმშილობა უზენაესი საბჭოს სესიის მოწვევის მოთხოვნით.

მოშიმშილეთა მხარდამჭერი საორგანიზაციო ჯგუფი მოგმართავთ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციას, საქართველოს ყველა მცხოვრებს, რომ მხარი დაუჭიროთ სტუდენტთა მიერ წამოწყებულ აქციას.

ყოველდღიურად, 19 საათზე, უნივერსიტეტის ეზოში მოეწყობა მიტინგები. ყველას გთხოვთ, მობრძანდეთ. აგრეთვე, გთხოვთ, აქციას გამოეხმაუროთ პრესისა და ტელევიზიის საშუალებით.

ახლა დუმილი მოშიმშილეთა განწირვის ტოლფასია".

უნივერსიტეტის ოთხმა სტუდენტმა: ნუგზარ წიკლაურმა, [illegible] არაბულმა, [illegible] გოლიაძემ, ჯუნა ჯაფარიძემ და კურსდამთავრებულმა ემზარ გოგუაძემ უვადო სასიკვდილო შიმშილობა გამოაცხადეს იმის გამო, რომ მათი აზრით, ეროვნული მოძრაობა კრიზისმა მოიცვა, იგი შუაში გაიხლიჩა, გაჩნდა დაპირისპირებული ბლოკები, საქმე მიტინგებმა და ფუჭმა ლაპარაკმა შეცვალა, თვალნათლივ გამოჩნდნენ ეროვნულ მოძრაობას მიტმასნილნი, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ, სწორ გზას ააცდინონ ეროვნული მოძრაობა. ასეთ პირობებში საჭიროა გადამჭრელი, კონკრეტული მოქმედება. ამ მიზნით დაიწყო შიმშილობა.

საორგანიზაციო კომიტეტისა და მოშიმშილეთა მიმართვის შემდეგ ამ აქციას მართლაც არავინ შეხვედრია დუმილით. საქართველოს სახალხო ფრონტმა იმთავითვე დაუჭირა მხარი მოშიმშილეთა მოთხოვნებს, რომლებიც მოგვიანებით დაზუსტებული სახით გამოქვეყნდა და ასეთი არის:

„ჩვენ, უვადო შიმშილობის მონაწილენი, მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რომლის განსახორციელებლად ამ პირველ ეტაპზე აუცილებლად მივიჩნევთ უზენაესი საბჭოსაგან ჩვენს მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. დაუყოვნებლივ მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია, რომელმაც უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი საკითხები:

1. არაკანონიერად და ბათილად ჩაითვალოს 1921 წლის 16 თებერვალს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადება:

2. არაკანონიერად და ბათილად გამოცხადდეს საქართველოს რევკომის მიერ 1921 წლის 21 მარტის დეკრეტით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების გაუქმება;

3. გამომდინარე აქედან და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს ამა წლის 9 მარტის დადგენილებიდან, დღევანდელი საქართველოს არსებობა, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, მიიჩნიონ არაკანონიერად;

4. მიიღონ კანონი საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნების შესახებ, რომელიც უნდა ემყარებოდეს მრავალ-

(დასასრული მე-2 გვ.)



## ტერორისტის ჩანაწერები

რაღა დამრჩენოდა, შარაზე გავედი. ერთ-ერთი ხის ქვეშ, უცხო თვალისათვის ძნელად დასანახ ადგილზე დავდე „ლიმონკებით" სავსე ყუთი და ავტობუსს დაველოდე. ავტობუსი მალე მოთუხთუხდა. თითქმის ცარიელი იყო. უკანა ადგილი შევარჩიე და დავჯექი. ავტობუსი დაიძრა. როცა თითქმის შვებით ამოვისუნთქე, ფარების შუქმა სიბნელეში ხელაწეული მილიციის ოფიცერი გაანათა. მძღოლმა დაამუხრუჭა. თითქოს დენმა დამკრა და თავიდან ფეხებამდე გამიარა. შიშით სუნთქვა გამიჭირდა, იმდენად წავხდი, რომ სხეულს ველარ ვფლობდი. (მე-5 გვ.).

## საბჭოური პროფკავშირები ნიღაბს იფარებს

სოციალიზმის სისტემაში გაფიცვებს, თუ ბოლო რამდენიმე წელს არ ჩავთვლით, სამშობლოს ღალატის ტოლფასი შეფასება ეძლეოდა. ბოლშევიკებმა უარყვეს ადამიანთა უფლებებისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და შექმნეს პროფკავშირული სისტემის ახალი მექანიზმი, რომელიც, ფაქტობრივად, მშრომელთა ინტერესების დამცველის ფუნქციებს არ ასრულებს. (მე-8 გვ.).

## შიდა ქართლის ტრაგედია 20-30-იან წლებში

როდესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გამოცხადდა, ოსები იმდენად გათავხედდნენ, რომ ღამ-ღამობით დაიწყეს თავდასხმა ქართულ სოფლებზე, ძლეტდნენ და აწიოკებდნენ ქართველებს. მათი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ღამ-ღამობით ცხინვალზეც დაიწყეს თავდასხმა და ქართველების ამოხოცვა... (მე-7 გვ.).

## საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობის საორგანიზაციო კომისიის განცხადება

1990 წლის 27 ივნისს, 11 საათზე, თბილისში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მუშაობას შეუდგება საქართველოს სახალხო ფრონტის II ყრილობა.

დელეგატების რეგისტრაცია იწარმოებს 26 ივნისს 10 საათიდან 22 საათამდე და 27 ივნისს 8 საათიდან 10 საათამდე მისამართზე: თბილისი, ყაზბეგის ქ. №17.

●

ა. წ. 19 ივნისს, 11 საათზე, პოლიტგანათლების სახლში (თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №63) ჩატარდება საქართველოს სახალხო ფრონტის რეგიონული და უწყებრივი ორგანიზაციების თავმჯდომარეთა და პირველადი ჯგუფის წარმომადგენელთა (რომლებიც არ შედიან რეგიონულ ორგანიზაციებში) შეკრება.

(დასასრული)

პარტიულობასა და პროპორციულ საარჩევნო სისტემას;

5. მიიღონ კანონი პოლიტიკურ პარტიათა შესახებ;

6. დანიშნონ საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს ერთადერთი არასაბჭოური ოფიციალური მრავალპარტიული არჩევნები არაუგვიანეს ამა წლის ოქტომბრის თვისა;

7. მიიღონ დადგენილება სამოქალაქო რაზმების შექმნის შესახებ;

8. შეჩერდეს სსრკ-ის კანონები, რომლებიც ლახავენ საქართველოს ინტერესებს;

9. საქართველოს უზენაესმა საბჭომ სცნოს ლიტვის დამოუკიდებლობა, ლატვიისა და ესტონეთის გადაწყვეტილებათა კანონიერება;

10. მიმართოს რსფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობასა და უზენაეს საბჭოს, რათა მათ სცნონ რსფსრ-ს მიერ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ინტერვენცია და მისი ოკუპაცია, რაც ფაქტობრივი ანექსიით დამთავრდა, და სცნონ, რომ რსფსრ-სა და საქართველოს შორის ურთიერთობას საფუძვლად შეიძლება დაედოს მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო სამართლით აღიარებული სუვერენულ სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმები.

რსფსრ უზენაესმა საბჭომ საქართველოსთან ურთიერთობის დროს იხელმძღვანელოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით და ამიერიდან ორი სუვერენული რესპუბლიკის ურთიერთობის საფუძველი იყოს მხოლოდ ეს ხელშეკრულება, რომელიც არცერთი საბჭოთა სახელმწიფო ორგანოს მიერ არასოდეს არ ყოფილა გაუქმებული და იურიდიულად დღემდე ითვლება მოქმედ დოკუმენტად“.

გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო ფრონტის საგაფიცვო კომიტეტის განცხადება:

„როგორც საზოგადოებისათვის არის ცნობილი, ა. წ. 31 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა ხუთკაციანმა ჯგუფმა გამოაცხადა უვადო შიმშილობა საქართველოს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესიის დაუყოვნებლივ მოწვევის მოთხოვნით, რათა გადაიდგას გადამწყვეტი მნიშვნელობის ნაბიჯი საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე. საქართველოს სახალხო ფრონტმა სრული სოლიდარობა გამოუცხადა მოშიმშილეებს.

უკვე მერვე დღეა, მიმდინარეობს შიმშილობა. ახალგაზრდების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. მიუხედავად ამისა, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი არ იწვევს უზენაესი საბჭოს რიგგარეშე საგანგებო სესიას აღნიშნული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო ფრონტი უერთდება საპროტესტო აქციას და ანალოგიურად აცხადებს უვადო შიმშილობას ა. წ. 6 ივნისიდან.

თუ არ დაკმაყოფილდება მოშიმშილეთა მოთხოვნები, სახალხო ფრონტი ამას ჩათვლის საქართველოს მიმართ დაუფარავი მტრობის აქციად. თუ ხელისუფლების გულგრილობას თუნდაც ერთი ახალგაზრდის ჯანმრთელობა შეეწირა და თუნდაც ერთი მათგანის სიცოცხლე აღმოჩნდა საფრთხეში, მაშინ სსფ მიმართავს მასობრივ გაფიცვებს და სხვა საპროტესტო აქციებს მთელს საქართველოში“.

მართლაც, თბილისში, კინოს სახლთან საშიმშილოდ დასხდნენ სახალხო ფრონტის წევრები: ჰენრი კუპრაშვილი, ვახტანგ ბურდული, ზაურ ბოლქვაძე, გიორგი ბიძინას ძე ჯაფარიძე, გიორგი უჩას ძე ჯაფარიძე, რომან ღვიტიძე, გოჩა გავაშელი და ნუგზარ გაბროშვილი.

მოშიმშილეებს სოლიდარობა გამოუცხადეს საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციებისა და პარტიების მრგვალი მაგიდის წევრებმა. მათ მიმართვაში ნათქვამია: „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრგვალ მაგიდაში შემავალი რადიკალური ოპოზიციის წარმომადგენელი პოლიტიკური ორგანიზაციები თუმცა არ ცნობენ საქართველოს სსრ საოკუპაციო რეჟიმს და მის ე. წ. უზენაეს საბჭოს, მაგრამ ისინი ვერ დაუშვებენ იმას, რომ 5 ქართველი პატრიოტი ახალგაზრდის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქროს ხელისუფლების წაყრუებისა და ინდიფერენტიზმის შედეგად.

ამის გამო საქართველოს ჰელსინკის კავშირის, საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის, წმინდა ილია მართლის საზოგადოების, მერაბ კოსტავას საზოგადოების გადაწყვეტილებით ამ ორგანიზაციების დასაწყისისთვის ხუთ-ხუთი წევრი უნივერსიტეტის მოშიმშილეებთან სოლიდარობის ნიშნად უერთდება მათ აქციას და აცხადებს უვადო შიმშილობას, ვიდრე პატრიოტი ქართველი ახალგაზრდები არ ჩათვლიან თავიანთ მოთხოვნებს დაკმაყოფილებულად“.

# სიკვდილი ან თავისუფლება!





სურათებზე: პირველ გვერდზე: უნივერსიტეტელი მოშიმშილეები; შიმშილობა კინოს სახლის წინ; მეორე გვერდზე: ერთ-ერთი მიტინგი მთავრობის სახლის წინ. სიტყვას წარმოთქვამს ბატონი ზვიად გამსახურდია.

ზურაბ გენგიურის, შალვა გოქაძის და თამაზ ბიბილურის ფოტოები.



მრგვალი მაგიდის წევრი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა შიმშილობა დაიწყეს მთავრობის სახლთან. აქვე იმართებოდა მიტინგები, რომლებზეც ნათლად გამოიკვეთა აზრი, რომ თუ ხელისუფლება არ მიიღებდა ზომებს, 11 ივნისიდან იფიცებოდა სრულიად საქართველო — ჩერდებოდა წარმოება-დაწესებულებები, ჩერდებოდა ამიერკავკასიის რკინიგზა... ამას ადასტურებდა ამ ორგანიზაციების წარმომადგენელთა გამოსვლებიც მიტინგებზე. აქციას სოლიდარობა გამოუცხადა უამრავმა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ. შიმშილობას შეუერთდნენ საქართველოს მწვანეთა პარტიის, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის, საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის, საზოგადოება „დას“-ის წარმომადგენლები. მათ განცხადებაში ნათქვამია:

„საქართველოს მწვანეთა პარტია, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია, საქართველოს ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, საზოგადოება „დას“-ი სრულ თანადგომას ვუცხადებთ უნივერსიტეტელ მოშიმშილეებს და მიგვაჩნია, რომ ეგზომ მაღალზნეობრივი აქცია შეიძლება განვითარდეს და კონსტრუქციული შედეგები გამოიღოს მხოლოდ ასეთივე მაღალზნეობრივი მხარდაჭერით. ჩვენ ვუერთდებით მათ მოთხოვნებს და ა. წ. 7 ივნისიდან ვაცხადებთ შიმშილობას. ამასთანავე მიგვაჩნია, რომ შიმშილობის აქციის დესტაბილიზაციაში გადაზრდამ, შესაძლოა, არასასურველი შედეგი გამოიღოს მთლიანად ეროვნული მოძრაობისათვის, რის გამოყენებასაც შეეცდებიან საქართველოს თავისუფლების მოწინააღმდეგენი“.

აქციას შეუერთდნენ: მწვანეთა პარტიიდან: დათო ბაშალეიშვილი და მიხეილ ჭკუასელი; რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიიდან: კოტე ანდრიაძე, გოგიტა ქერქაძე, თენგიზ მამალაძე; ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიიდან: ვასილ გოცირიძე, გიორგი გოგსაძე, ვასილ ლაპიაშვილი; „დას“-იდან: რეზო შავიშვილი.

აქციის მიმდინარეობისას უნივერსიტეტში მოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე გივი გუმბარიძე და შეხვდა მოშიმშილეებსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მაგრამ ამ შეხვედრას არავითარი შედეგი არ გამოუღია, ბატონმა გივიმ ვერ უპასუხა მთელ რიგ საკითხებს, აშკარად ორჭოფობდა, თითქოს არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო...

უფრო ადრე უნივერსიტეტში მოვიდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მრგვალი მაგიდისა და საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლები, საკოორდინაციო ცენტრის წარმომადგენლები იმ მიზეზით, რომ არ აკმაყოფილებდათ შეხვედრისთვის განკუთვნილი აუდიტორია და შეხვედრა სურდათ საიქტო დარბაზში, არასამუშაო ვითარებაში, საზოგადოებრიობის თანდასწრებით, არ შეხვდნენ მოშიმშილეებს სასაუბროდ. მოშიმშილეებსა და დაინტერესებულ პირებს შეხვდნენ მრგვალი მაგიდისა და სახალხო ფრონტის წარმომადგენლები. გაიმართა საინტერესო, ზოგჯერ ცხარე დიალოგი, რომელმაც დიდხანს გასტანა და რომელიც მეტად სასარგებლო იყო ორივე მხარისთვის.

8 ივნისს გამოქვეყნდა საკოორდინაციო ცენტრის განცხადება:

„თბილისში ამჟამად მიმდინარეობს შიმშილობის რამდენიმე აქცია. ამ აქციების მონაწილეთა მოთხოვნებიდან ჩვენთვის სრულიად მიუღებელია კერძოდ ის, რომ საქართველოს დღევანდელმა უზენაესმა საბჭომ მიიღოს დეკლარაცია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ, გამოაცხადოს გარდამავალი პერიოდი და გადაარქვას სახელი რესპუბლიკას.

საქმე ის კი არაა, თუ ვინ გამოაცხადებს დამოუკიდებლობას, არამედ ის, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია არავითარი გარანტია იმისა, რომ უზენაესი საბჭოს დღევანდელი შემადგენლობა, რომელიც არ არის არჩეული ქართველი ხალხის მიერ და საქართველოს ე. წ. კპ ცკ-ის ანუ, ფაქტობრივად, კრემლის მიერ არის დანიშნული, გაუძლებს კრემლის დაწოლას და შეძლებს მის მიერ პროვოცირებული სირთულეების დაძლევას. გამორიცხული არ არის, რომ მან ახალი კაბალური სამოკავშირეო ხელშეკრულებაც კი დადოს. უფრო მეტიც, ჩვენი აზრით, უზენაესი საბჭო ახდენს იმის ინსცენირებას, თითქოს გადაწყვეტილებებს იღებს საზოგადოებრივი აზრის ან ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის ზეწოლის შედეგად.

აქედან გამომდინარე, პასუხისმგებლობა შესაძლო მძიმე შედეგებისათვის უზენაეს საბჭოსთან ერთად უნდა დაეკისროს ყველა იმ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელიც სხვა უმრავლეს პოლიტიკურ ორგანიზაციებთან და ქართველ ხალხთან შეუთანხმებლად ცდილობს ასეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების დაყენებასა და გადაჭრას“.

გაუგებარია, რომელ უმრავლეს პოლიტიკურ ორგანიზაციებზეა საუბარი, გარდა ამისა, ქართველი ხალხის აზრი თუ ვინმეს აინტერესებდა, მობრძანებულიყო მიტინგებზე, წაბრძანებულიყო რაიონებში, მიბრძანებულიყო სხვადასხვა ორგანიზაციებში. ქართველი ხალხი ერთსულოვანი იყო, ასეთი ერთსულოვანი იგი დიდი ხანია არ ყოფილა.

მოხდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. მოსკოვში, ქართული სათვისტომოს წინ, თბილისში მყოფ მოშიმშილეთა სოლიდარობის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა ხუთმა ქართველმა: კახა ლომაიამ (ასპირანტი, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიის წევრი), გია გაბრიჭიძემ (ექიმი, მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია), ნუგზარ ბერულავამ (ასპირანტი, ქართული სათვისტომოს წევრი), გია კაკაჩიამ (ექიმი, რესპუბლიკურ-ფედერალური პარტია), ნუგზარ შენგელიამ (ასპირანტი, სათვისტომო). მოშიმშილეებს შეხვდნენ მაშინ მოსკოვში მყოფი სსფ თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე და სსფ წევრი პაატა კოღუაშვილი.

აღსანიშნავია, რომ მოშიმშილეებმა უნივერსიტეტში მოიწვიეს დეპუტატები, ამის შესახებ გამოცხადდა პრესაში, გადაიცა ტელევიზიითა და რადიოთი, მაგრამ დანიშნულ დღეს მხოლოდ 64 (!) დეპუტატი მოვიდა უნივერსიტეტში, აქედან უმეტესობა რაიონებიდან იყო. ეტყობა, თბილისელ დეპუტატებს დაავიწყდათ, სად მდებარეობს უნივერსიტეტი. რა შეიძლება უწოდო ამ მართლაც საბჭოთა დეპუტატებს, ჭაობში ჩაფლულთ, რომლებმაც არაფრად ჩააგდეს ხუთი ახალგაზრდის სიცოცხლე და ის დიდი დესტაბილიზაცია, რაც მოსალოდნელი იყო საქართველოში? მათ სახელი მკითხველმა დაარქვას......

ხელისუფლება, გამოსავალი რომ აღარ დარჩა, იძულებული გახდა, დაჰყოლოდა მოშიმშილეთა მოთხოვნებს. 20 ივნისისთვის დანიშნულია სესია, დღის წესრიგში შეტანილია ის საკითხები, რომლებიც დააყენეს მოშიმშილეებმა. 10 ივნისს შიმშილობა შეწყდა, მაგრამ სესიამდე მჯდომარე გაფიცვა გრძელდება მთავრობის სახლთან.

ისევ ერთ მუშტად შეიკრა ქართველი ხალხი. პოეტმა გიორგი გიგაურმა კი ასე გამოხატა დამოკიდებულება ამ აქციისადმი:

**მთელი სიცოცხლე**
**შიმშილთან ვდავობ,**
**დღეს კი სხვა სახის**
**შიმშილი ვნახე —**
**უსამართლობას ებრძვის და**
**ავობს,**
**მომხდურთა შურს და სიავეს**
**ამხელს.**
**ბიჭებს შიმშილი შეუჭამთ**
**ხმალად,**
**მამულის შუქი სანთლად**
**უნთიათ**
**და მწამს,**
**გამართავს ცხოვრების ჯარას,**
**ვინც საქართველოს ღამე უთია.**

**ვინც ერისათვის გვემა ინება**
**და მორჩილებას ახსნა თოკები,**
**ვერვინ დასწამოს შიში**
**მცირედიც,**
**გეზი — დათმობის და**
**დაოკების...**
**შურისძიებას ითხოვს**
**შიმშილი,**
**აფორიაქებს ქუჩას, ხეივანს,**
**მუშტებშემართულ**
**მამაც მზის შვილებს**
**უკანდახევა არა სჩვევიათ.**

# რას ნიშნავს სიტყვა „საბჭოთა"?

ცნობილია „ლენინის მოძღვრება საბჭოთა ხელისუფლების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივი ფორმის შესახებ". ცნობილია ყველასთვის, ვისთვისაც სიყმაწვილეში თუ მოწიფულობაში საბჭოთა კავშირის ოფიციალური იდეოლოგიის შთაგონება უცდია „პარტისტორიის მოკლე კურსის", „პოლიტწიგნიერების" („პოლიტგრამოტა") და სხვა, დღეს ამდენადვე სახელგატეხილი სათაურებით შემკული „მეცნიერებების" სახით. ამ მოძღვრებას სავსებით კონკრეტული შინაარსი აქვს. პროლეტარიატის ბატონობა — ანუ იმ სოციალური კლასის ბატონობა, რომელსაც დასაკარგავი არაფერი აქვს, გარდა ბორკილებისა — ცხადია, ვერ განხორციელდება დემოკრატიის სახით (ეს **ნაგულისხმევი** გახლავთ, თუმცა, ალბათ, ასეთი დაუფარავი სახით გამოთქმული არ გახლავთ ზემოთხსენებულ „მეცნიერებაში"), იგი განხორციელდება მხოლოდ როგორც დიქტატურა, ანუ როგორც „კანონით შეუზღუდველი ბატონობა პროლეტარიატისა ბურჟუაზიაზე". პროლეტარიატი არაფერს დაეკითხება „ბურჟუაზიას", მაშასადამე, ხალხის მასას, როგორც ასეთს, თუკი გავიხსენებთ, რომ „წვრილი ბურჟუაზიის" სამარცხვინო და სახიფათო დამღა აკრავს არა მარტო ფინაჩს, მეწვანილეს და მესაკუთრე-გლეხს, არამედ თვით ინტელიგენციასაც კი, რომელიც — როგორც, ალბათ, ახსოვს პატივცემულ უფროსი ასაკის მკითხველებს — ძირითადად „წვრილბურჟუაზიულია" (თავის გოეთეიან-ბალზაკიან-შექსპირიანად).

დემოკრატია (ანუ დემოსის, ხალხის ძალაუფლება) უმრავლესობის ძალაუფლებაა, არისტოკრატია (ანუ არისტოსთა, „საუკეთესოთა" ძალაუფლება) — უმცირესობის, სახელდობრ, ყველაზე ძლიერებისა და გავლენიანების ძალაუფლებაა. უმრავლესობის ძალაუფლების მთავარი სახელმწიფოებრივი ფორმა არის **პარლამენტი**, ანუ წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც, ჩანაფიქრით, **ყველას** ნებას ასახავს განზოგადებული სახით და რომლის არჩევანშიც, ამგვარად, **ყველა** მონაწილეობს, როგორც ამომრჩეველი და როგორც პოტენციური კანდიდატი. როგორ უნდა განახორციელოს სახელმწიფოებრივად თავისი ძალაუფლება პროლეტარიატმა, რომელიც მთელი მოსახლეობა კი არა, არამედ მოსახლეობის მხოლოდ ერთი ნაწილია? პროლეტარებისთვის სპეციალური საშვების დარიგებით, რათა საარჩევნო უბნებში ხმის მისაცემად მხოლოდ ისინი შეუშვან? რამდენიმე პიროვნების ხელში ატაცებით და დიქტატორად გამოცხადებით? მინისტრებისა თუ კომისრების კამათლის გაგორებით არჩევის გზით? არც ერთით, არც მეორით, არც მესამით. ამ ამოცანას ლენინმა და მისმა კოლეგებმა სხვადასხვა რევოლუციური პარტიებიდან სხვა ამოხსნა მოუძებნეს: ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა არა პარლამენტი, არამედ „სოვეტი". „სოვეტიც" არჩევითია, მაგრამ მას ირჩევენ არა ყველანი (მთელი მოსახლეობა), არამედ მხოლოდ ზოგიერთნი — სახელდობრ, დიდ საწარმოთა კოლექტივები, სამხედრო ნაწილები, კრეისერები და ა. შ. ისინი აგზავნიან თავ-თავიანთ არჩეულ წარმომადგენლებს, დეპუტატებს (ანუ ამომრჩევლებს) და ამ უკანასკნელთაგან დგება „მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოები", უფრო გვიან — „მუშათა და გლეხთა საბჭოები". ბურჟუაზია თავისი მრავალმხრივი განშტოებებითურთ, თავადაზნაურობა და სხვა ხურდა-ხურდა სოციალური ფენები და ჯგუფები, ცხადია, ამგვარი სახელმწიფო ხელისუფლების არც რეალური, არც იდეალური მონაწილენი არ არიან.

სახელმწიფო ძალაუფლების ასეთი ფორმა — თან „არჩევითი" და თან არასაყოველთაო — იმდენად სპეციფიკური და ამავე დროს იმდენად არსებითი აღმოჩნდა ახალი ტიპის დიქტატურისათვის, რომ მთელ ახალ სისტემას სახელი სწორედ ამ ფორმის მიხედვით მიეცა, ახალ ხელისუფლებას „სოვეტების" ხელისუფლება, ანუ საბჭოთა ხელისუფლება დაერქვა.

1934 წლის კონსტიტუციიდან მაინც (თუ უფრო ადრიდან არა) საბჭოთა წყობილება ცდილობს, თანამედროვე დემოკრატიის კონსტიტუციური ფორმები მოირგოს. ერთ-ერთი ასეთი ფორმა ისაა, რომ სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს არჩევნები (ისევე, როგორც უფრო დაბალი ორგანოებისა) **საყოველთაოა**, მაშასადამე, თავისი ფორმით იგი „სოვეტი" კი აღარაა, არამედ **პარლამენტია** (შინაარსით რაა, ეს, ცხადია, სხვა საკითხია). ამგვარად, სიტყვა „საბჭოთა" ყველა კომბინაციაში უკვე უმართებულო ხდება: ხელისუფლება „საბჭოთა" ანუ „საბჭოებისა", „სოვეტებისა" კი აღარაა, არამედ, პარლამენტისაა (უფრო კონკრეტულად — ზემოდან დანიშნული პარლამენტის), და ა. შ. ეს იმას ნიშნავს, რომ [illegible] ამ სიტყვის განდევნა დღევანდელი პოლიტიკური ტერმინოლოგიიდან. ჩვენი ქვეყანა საქართველოს **საბჭოთა** სოციალისტური რესპუბლიკა კი არაა, არამედ საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა, სომხეთი სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკაა და ა. შ.

მიუხედავად ლოგიკისა, არსებული ხელისუფლება მაინც ჯიუტად ებღაუჭება ამ ტერმინს. ებღაუჭება იმიტომ, რომ მასში მმართველობის არაპარლამენტური, არასაყოველთაო ფორმის გარდა კიდევ სხვა რამაა ნაგულისხმევი. ამ ტერმინში (ისტორიულად) თავი მოიყარა ყოველივე იმან, რაც ახალი დიქტატურისათვის სპეციფიკური აღმოჩნდა ტრადიციულ დიქტატურათა ყველა სხვა ფორმისაგან განსხვავებით, — სახელმწიფო კაპიტალიზმმა („სოციალიზმად" წოდებულმა), ტიპიურ აღმოსავლურ დესპოტიაზე დამყნობილმა ინდუსტრიალიზმმა, ფსევდოთანასწორობამ, ყალბსა და სავალდებულო იდეოლოგიაზე დამყარებულმა აბსოლუტურმა არათავისუფლებამ და ა. შ. რევოლუციიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ ქამრის მოჭერისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის შენების კლასიკური პოლიტიკა დაემატა. ყოველივე ეს, რაც ჩამოვთვალეთ, იმპერიისა და მისი „მე"-ს — მისი მპყრობელი ერის — თავდავიწყებული სიყვარულის საგანი იყო და ნაწილობრივ არის დღესაც, მათი იმედი და მათი სიქადულია ისტორიის წინაშე. ამიტომაც, ვერ იმეტებს იმპერია სანაგვეში გადასაგდებად ამ უკვე რეალობადაკარგულ ტერმინს, რომელიც თავისი წარმოშობით იურიდიულია, დღევანდელი შინაარსით კი უკვე პოლიტიკური გამხდარა. მაგრამ ამ ტერმინის დაუთმობლობა ხომ იმის აღიარებაა, რომ მის მხმარებელთ საამაყოდ სწორედ მასში თანანაგულისხმევი ის ანტიჰუმანური და ანტიადამიანური მხარეები მიაჩნიათ, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ!

ამგვარად, დღეს ჩვენ სრული ლოგიკური საფუძველი გვაქვს, ტერმინოლოგიურ სუბიექტებს არ მივდიოთ და ჩვენი ქვეყნის ამჟამინდელი სახელწოდებიდან, „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა", ამოვიღოთ სიტყვა „საბჭოთა (რასაც, შესაძლოა, დღეს სსრკ შემადგენლობაში მყოფი სხვა ქვეყნებიც მიჰბაძავენ).

**ნოდარ ნათაძე**

**დამოუკიდებელი პროფკავშირები**

# საბჭოური პროფკავშირები ნიღაბს იფარებს

**მსოფლიოს** ცივილიზებულ ქვეყნებში პროფესიული კავშირების დანიშნულება მშრომელთა ინტერესების დაცვაა, მიზნების განსახორციელებლად პროფესიული კავშირების ყველაზე ქმედით იარაღს წარმოადგენს გაფიცვები. კარგად არის ცნობილი, რომ განვითარებულ ქვეყნებში პროფკავშირებმა ამ გზით მოიპოვეს დიდი ავტორიტეტი, თანმიმდევრულად აღწევენ მუშა-მოსამსახურეთა ცხოვრების დონის ამაღლებას და რეალურ ძალასაც წარმოადგენენ.

სოციალიზმის სისტემაში გაფიცვებს, თუ ბოლო რამდენიმე წელს არ ჩავთვლით, სამშობლოს ღალატის ტოლფასი შეფასება ეძლეოდა. ბოლშევიკებმა უარყვეს ადამიანთა უფლებებისათვის ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და შექმნეს პროფკავშირული ორგანიზაციების ახალი მექანიზმი, რომელიც ფაქტობრივად, მშრომელთა ინტერესების დამცველის ფუნქციებს არ ასრულებს. მაგალითისთვის ისიც კმარა, რომ ამჟამად რესპუბლიკის საწარმოების სულ მცირე 70 პროცენტი დასახურია მათი გაუმართაობის გამო — შრომის ელემენტარული პირობები არ არის და მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობას რეალური საშიშროება ექმნება.

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად მუშაკთა სამუშაოდან მოცდენის დროს, რაც მუშის ან მოსამსახურის ბრალით არ არის გამოწვეული, მოცდენის ანაზღაურება მუშაკისათვის დადგენილია სატარიფო განაკვეთის არანაკლები ორი მესამედის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ სატარიფო განაკვეთის ორი მესამედი გაცილებით ნაკლებია მუშის საშუალო თვიურ ანაზღაურებაზე და ამასთანავე წარმოების ხელმძღვანელობა მუშაკებს, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში უხდის მხოლოდ სატარიფო განაკვეთის ორ მესამედს.

ერთი შეხედვით თითქოს ამ მუხლში განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ სინამდვილეში მასში ღრმა შინაარსია ჩადებული, კერძოდ: აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმას, რომ მუშას რაც არ უნდა აუტანელი პირობები ჰქონდეს, იძულებულია უარი განაცხადოს გაფიცვაზე, სამუშაო უბნის გაჩერებაზე, ვინაიდან ურჩევნია საფრთხეში ჩაიგდოს თავისი ჯანმრთელობა, ვიდრე ეკონომიურად გაჭირვებაში ჩავარდნილ ოჯახს „ორიოდე კაპიკიც" მოაკლოს.

70 წლის განმავლობაში პროფკავშირების საბჭოურ სისტემას მშრომელი კაცის უფლებების შელახვის ამ აშკარა გამოვლინების წინააღმდეგ არც ერთხელ არ აუმაღლებია ხმა.

თავად სიტყვა პროფკავშირი ნიშნავს პროფესიათა კავშირს და არა დარგთა კავშირს, ბოლშევიკური პროფკავშირების მექანიზმი ერთ პროფესიულ კავშირში აერთიანებს წარმოების ხელმძღვანელს და მუშას, რითაც საწყისშივე სპობს პროფესიული კავშირების დედააზრს.

ათეული წლების განმავლობაში საბჭოური პროფკავშირები წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შემადგენელ ნაწილს და უსიტყვოდ ასრულებდა ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მითითებებს თუ გადაწყვეტილებებს.

რესპუბლიკაში, როგორც წესი, ხელმძღვანელ პროფკავშირულ სამუშაოზე მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციით ხდებოდა არჩევა (ფაქტიურად დანიშვნა). მაგრამ პროფკავშირულ სამუშაოზე გადმოჰყავდათ პირები არა დაწინაურებით, არამედ, როგორც დასჯილნი, რომელთაც ვერ გაამართლეს „იმედები", ან საკმაოდ სერიოზული „შეცდომები" დაუშვეს. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ამჟამად პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეების უმრავლესობა პარტიის რაიკომის, ქალაქკომის ყოფილი მდივნები ან აღმასკომის თავმჯდომარეებია.

დღესდღეობით ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების მეურვეობა საგრძნობლად შესუსტდა, მაგრამ პროფკავშირების საქმიანობის შინაარსი ბევრად არ შეცვლილა.

შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად, თუ არ ჩავთვლით მედიკოსთა, მეტალურგთა კავშირებს და ზოგიერთ მცირერიცხოვან ასოციაციებს, პროფესიული კავშირები რესპუბლიკაში არ არსებობს. არსებობს მხოლოდ დარგთა კავშირები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო პროფკავშირების სტრუქტურასთან.

მაგალითისათვის განვიხილოთ დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების ზედნაშენის, საქართველოს პროფსაბჭოს, საქმიანობა.

გასული წლის აგვისტოში საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს ბატონი პეტრე ჩხეიძე. თავდაპირველად იმედისმომცემი ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ მალე პროფსაბჭოს საქმიანობამ სულ სხვა გეზი აიღო — კომერციული საქმიანობისაკენ, ხოლო მშრომელთა ინტერესების დაცვის პრობლემამ გაურკვეველი ვადით უკანა რიგებში გადაინაცვლა.

საქართველოს პროფსაბჭოსთან გაიხსნა კომერციული ბანკი, სავაჭრო კომბინატი, მიიღეს გადაწყვეტილება კერძო ავტომანქანათა შეკეთების პროფილაქტიკისა და ავტომანქანების საწვავ-საცხები მასალების გასამართი სადგურის გახსნის შესახებ.

ბატონ პეტრე ჩხეიძის თავმჯდომარეობის პერიოდში პროფსაბჭოს არცერთი შრომითი კოლექტივისთვის არ გაუწვდია დახმარების ხელი.

1989 წლის ნოემბერში თბილისის საწარმოო გაერთიანების „ელექტროაპარატის" მუშა-მოსამსახურეთა ყრილობამ უნდობლობა გამოუცხადა გაერთიანების პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარეს და ელექტროსადგურებისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარეს მშრომელთა სამართლიანი მოთხოვნების იგნორირებისათვის.

ყრილობის ოქმი წარმოადგინეს საქართველოს პროფსაბჭოში, მაგრამ იგი დღემდე რეაგირების გარეშეა დატოვებული.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ ბატონ პეტრე ჩხეიძეს აინტერესებს მხოლოდ პროფსაბჭოს სახელი, მის ანგარიშზე არსებული სახსრები და არა პროფესიული კავშირების ძირითადი დანიშნულების შესრულება.

თითქმის ერთი წელია, რაც პროფსაბჭოში კვლავ გაბატონდა ვიქტორია სირაძის მუშაობის სტილი — ერთპიროვნულად საკითხების გადაწყვეტა, არჩევნების დემოკრატიული ფორმების იგნორირება.

ბატონი პეტრე ჩხეიძე არც აპარატის მუშაკთა კოლექტიურ აზრს ითვალისწინებს, რომელთა ინიციატივითა და მოთხოვნით აირჩიეს იგი პროფსაბჭოს თავმჯდომარედ. გასული წლის 27 ნოემბერს ჩატარდა პროფსაბჭოს აპარატის მუშაკთა პარტიული ორგანიზაციის საერთო კრება, რომელმაც სხვა საკითხებთან ერთად განიხილა საფინანსო განყოფილების გამგის გ. დავითაშვილის საქმიანობა. კრებაზე გამომსვლელებმა მას ბრალი დასდეს, როგორც სამსახურებრივ საქმიანობაში არსებული დარღვევებისა, ასევე ანტიეროვნული პოზიციის დაკავების გამო. კრებამ, რომელსაც 86-დან 62 თანამშრომელი ესწრებოდა, ერთხმად მიზანშეუწონლად სცნო აღნიშნულ თანამდებობაზე გ. დავითაშვილის დატოვება, რომელმაც 9 აპრილის მოვლენებთან დაკავშირებით მხარი დაუჭირა ვიქტორია სირაძეს, და აპარატის მუშაკთა უმრავლესობის მიერ სირაძისადმი უნდობლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით შედგენილ წერილს ხელი არ მოაწერა. აღსანიშნავია, რომ გ. დავითაშვილმა 1974 წ. გამოიცვალა გვარი. ტერტეროვი გვარად გახდა დავითაშვილი, ხოლო ეროვნებით — ქართველი.

კრების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით პროფსაბჭოს ხელმძღვანელობას საერთოდ არ უმსჯელია.

ერთი შეხედვით, შეიძლება კაცს მოეჩვენოს, რომ საქართველოს პროფსაბჭო ინტერესს იჩენს ეროვნული მოძრაობისადმი, მაგრამ, თუ მოვლენებს გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ აქაც თვალთმაქცობას აქვს ადგილი.

პროფსაბჭომ ბოლნისში გასულ წელს შეისყიდა 27 საცხოვრებელი ბინა და საჩუქრად გადასცა სტიქიით დაზარალებულ მრავალშვილიან ოჯახებს.

როგორც შემდგომ გაირკვა, აღნიშნული აქცია ჩატარდა მხოლოდ იაფფასიანი ავტორიტეტის მოსაპოვებლად, ვინაიდან ჯერ კიდევ 1989 წლის დეკემბერში გაიხსნა სსრ კავშირის შემნახველი ბანკის სოხუმის რაიონულ განყოფილებაში პროფსაბჭოს სპეციალური ანგარიში გამოთავისუფლებული საცხოვრებელი სახლების შესასყიდად და მიუხედავად ამ საქმის დიდმნიშვნელობისა, დღემდე პროფსაბჭოს მიერ აფხაზეთში არ შესყიდულა არც ერთი ბინა.

აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ საქართველოს გაზეთ „შრომას" შეეცვალა სახელი და ეწოდა „კაბადონი-8", მაგრამ გამომცემელი ორგანოს ადგილას „საქართველოს პროფსაბჭოს" ნაცვლად გაჩნდა „საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირები", თუმცა ასეთი პროფკავშირების დამფუძნებელი არც კონფერენცია და არც ყრილობა არ ჩატარებულა, მაშინ რას ნიშნავს ეს? მხოლოდ ერთს — საზოგადოების დეზინფორმირებისა და იაფფასიანი ავტორიტეტის შეძენის მცდელობას.

პროფსაბჭოს ხელმძღვანელობა ცდილობს დაარწმუნოს საზოგადოება, რომ კომერციული საქმიანობიდან მიღებული სახსრები მოხმარდება მშრომელებს. იბადება კითხვა: დღესდღეობით პროფსაბჭოს განკარგულებაში არსებული სახსრები თუ ხმარდება მშრომელებს?

1989 წლის სექტემბერში საკავშირო პროფკავშირების ცენტრალურმა კომიტეტმა გამოყო 600 ათასი მანეთი აჭარაში სტიქიის შედეგად დაზიანებული სპორტული ნაგებობების შესაკეთებლად. ეს თანხა პროფსაბჭოს ხელმძღვანელების გადაწყვეტილებით რატომღაც ჩაირიცხა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკურ საბჭოსთან არსებული სარემონტო სამშენებლო სამმართველოში „ვალების გასასტუმრებლად". აღნიშნული თანხა დღემდე არ გამოუყენებიათ დანიშნულებით.

გასული წლის 29 სექტემბერს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა საკითხი: „ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოში ალქარის წარმოების მაცივრების მიღებისა და განაწილებაში დაშვებული დარღვევის შესახებ". დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სპორტნაგებობათა სამმართველოს მიერ ქ. მოსკოვში შეძენილ იქნა 31 ცალი ალქარის წარმოების მაცივარი სპორტული ნაგებობის საჭიროებისათვის. ამ მაცივრებიდან 8 ცალი მიეყიდა სასტუმრო „ამირანს", რომლის დირექტორმაც 3 ცალი გასცა სასტუმროს თანამშრომლებზე, 20 ცალი მაცივარი სპორტნაგებობათა სამმართველოს მიერ მიეყიდა ექსპერიმენტულ საპროექტო საწარმოო კოოპერატივს „ავერსს" კერძო პირებზე სარეალიზაციოდ!

იმის მიუხედავად, რომ აღნიშნულ საკითხში აშკარაა სამსახურეობრივი უფლებების ბოროტად გამოყენების ფაქტები, პროფსაბჭოს პრეზიდიუმი მხოლოდ მითითებით შემოიფარგლა.

მიმდინარე წლის თებერვალში ბატონ პეტრე ჩხეიძეს „აუჯანყდა" პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების თავმჯდომარეები, რომელთაც მიუთითეს მას მუშაობაში არსებულ დარღვევებზე, ნაკლოვანებებზე. მრავალი შეხვედრების შემდგომ, არსებობის გახანგრძლივების მიზნით, მიაღწიეს შეთანხმებას. შეთანხმების ძირითადი ნაწილია „დამოუკიდებელი პროფკავშირების ჩამოყალიბება შემდეგი გზით: ივნისის ბოლოს ჩატარდება საქართველოს „დამოუკიდებელი პროფკავშირების" ყრილობა, სადაც დელეგატებად რესპუბლიკური კომიტეტის მიერ „არჩეულნი" იქნებიან „მორჩილი" პირები. ყრილობა მოახდენს პროფსაბჭოს აპარატის ლიკვიდაციას, აირჩევს „დამოუკიდებელი პროფკავშირის კონფედერაციის" თავმჯდომარედ ბატონ პეტრე ჩხეიძეს და დაამტკიცებს კონფედერაციის საბჭოს შემადგენლობას, რომელშიც შევა პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების ყველა თავმჯდომარე.

კონფერენციის საბჭო თავის შეხედულებების მიხედვით შეარჩევს პროფსაბჭოს აპარატის მუშაკებიდან კონფედერაციის საბჭოს მუშა ორგანოს და ამ გზით ორივე მხარე მოიშორებს თავიდან „კარიერისტ" და „ინტრიგან" თანამშრომლებს.

შემდეგ კი დამოუკიდებელი პროფკავშირების სახელით ყოველგვარი კონტროლის გარეშე გააგრძელებენ მშრომელთა საწევრო ანარიცხებით დაგროვებული სახსრების ხარჯვას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ალბათ ყველასათვის ცხადია, რომ საბჭოური პროფკავშირების სისტემა, მისი საქმიანობის შინაარსიდან და სტრუქტურიდან გამომდინარე, შეუძლებელია გახდეს მშრომელი კაცის ინტერესების დამცველი და მხოლოდ კოსმეტიკური ან პუტაფორიული ღონისძიების განმახორციელებელია.

**ნოდარ ლაზარიაშვილი,**
**საქართველოს პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი.**

უპატრონო ეკლესია?

# ვის ეკუთვნის დაბრუნებული საუნჯე?!

**გაზეთ** „კომუნისტის“ წლევანდელი 26 იანვრის ნომერში დაიბეჭდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის გურამ შარაძის „ფრანგული დღიური“, რომელშიც ჩემთვის მეტად საინტერესო ცნობა ამოვიკითხე:

„ჩვენი მკითხველი „მერანის“ გრიფით მალე მიიღებს ერთ წიგნად გაერთიანებულ ს. ფირცხალავას „ისტორიულ ლანდებს“, რომელშიც 1934 წელს გამოცემულ ამავე სახელწოდების წიგნს გარდა, შევიტანეთ 1939 წელს ცალკე დასტამბული „თამარ მეფე“, რადგან იგი მის ორგანულ ნაწილს შეადგენს.

ავტორის განზრახვა იყო პატარ-პატარა ამბების სახით გავაცნოთ მკითხველებს საქართველოს ისტორიის ზოგიერთი მთავარი ეპიზოდები...

ახლანდელი ქართველობის უდიდესი ნაკლია თავისი ერის თავგადასავლის სრული უცოდინარობა და ამით მეტად შეფერხებულია, როგორც ჩვენი საზოგადოებრივი, ისე ყოველდღიური ცხოვრება“.

ამ ციტირებას გ. შარაძე შემდეგ კომენტარს უკეთებს: „ვფიქრობთ, ავტორმა მიაღწია ჩაფიქრებულ მიზანს და თანამედროვე მკითხველიც მას მადლიერების გრძნობით მიიღებს“(!)

ამ ცნობამ ერთდროულად გამახარა და გამაოცა.

გამახარა იმიტომ, რომ 25 წელია სამსონ ფირცხალავას რეაბილიტაციისათვის ვიბრძვი და დღემდე არ მცოდნია (თუმცა მისი ფოტოსურათები, „მოგონებათა ფურცლების“ ამონაბეჭდი და ჩემი წიგნი რომ გამომართვით, ბ-ნო გურამ, მაშინ მაინც უნდა მივმხვდარიყავი!). ამ საქმეში სხვაც რომ შემხიდებია, მადლობის გრძნობა ხომ მაინც უნდა გამომეხატა. თუ რამ გამაოცა, ამაზე ცოტა ქვემოთ.

1972 წელს სრულდებოდა სამსონ ფირცხალავას დაბადებიდან 100 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით განცხადებით მივმართეთ საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნოს (ვინაიდან სამსონ ფირცხალავა არ იყო რეაბილიტირებული), განეხილა მისი ნაწერების გამოცემის საკითხი და აღეძრა შუამდგომლობა რომელიმე გამომცემლობასთან.

1970 წლის 8 ივნისს სამდივნომ, რომელსაც აკადემიკოსი გრიგოლ აბაშიძე თავმჯდომარეობდა, მოისმინა სამსონ ფირცხალავას რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემის საკითხი და აღძრა შუამდგომლობა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ წინაშე მისი რჩეული ნაწარმოებების გამოცემის თაობაზე. (ოქმი №20), ხოლო 1970 წლის 12 ივნისს (№309) გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორს ბატონ ვახტანგ ჭელიძეს შემდეგი მიმართვა გაეგზავნა:

„გიგზავნით მწერალთა კავშირის სამდივნოს სხდომის №20-ის ოქმის ამონაწერს ამა წლის 8 ივნისის თარიღით მწერალ სამსონ ფირცხალავას რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემის შესახებ“.

ვინაიდან 1972 წელს ზემდგომმა ორგანოებმა ჟურნალ „ცისკრიდან“ ამოიღეს ჩვენი წერილი სამსონ ფირცხალავაზე, ბუნებრივია, წიგნის გამოცემის საკითხი კარგა ხნით შეფერხდა.

იმავე ზემდგომი ორგანოების თანხმობით, მხოლოდ სამეცნიერო ორგანოებში ვბეჭდავდი წერილებს, რომ პროპაგანდის ხასიათი არ ჰქონოდა. ასე რომ 1971 წელს, „მნათობში“, შემთხვევით „გაიპარა“ მისი „მოგონებათა ფურცლები“, ხოლო დანარჩენი წერილები სამეცნიერო ორგანოებში დაიბეჭდა, ესენი გახლავთ (იძულებული ვარ ჩამოვთვალო): სამსონ ფირცხალავა — რედაქტორი და გამომცემელი (1906-1910) „მაცნე“, 1970, №3; უსაფუძვლო კომენტარების გამო, „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1971 წ., II; ს. ფირცხალავას პირადი წერილები ქართველ მოღვაწეებთან, „საისტორიო მოამბე“. 1973, №27-28; ისევ უსაფუძვლო კომენტარების გამო, „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1974, წ. III; გაზეთი „მზე“ და ცენზურა, „ჟურნალისტიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები“, 1975 წ. IV; ქართული წიგნის ამაგდარი, „მწიგნობარი“, 1980, №1.

მხოლოდ 1988 წელს გახდა შესაძლებელი „ქართული მემუარული ლიტერატურის“ სერიით ცალკე წიგნად დაგვებეჭდა (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“) სამსონ ფირცხალავას „მოგონებათა ფურცლები“.

1988 წლის 8 იანვარს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილში „მოღვაწე“ ვწერდით:

„1970 წლის 12 ივნისს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სამდივნომ გამოიტანა გადაწყვეტილება სამსონ ფირცხალავას რჩეულ ნაწარმოებთა გამოცემის შესახებ, მისი დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით, მაგრამ ეს კარგი წამოწყება ისევ დიდი ხნით შეფერხდა...

„ლიტერატურულმა საქართველომ“ დროული და საჭირო რუბრიკა შემოიღო „დაბრუნებული სახელები“, იქნებ სწორედ ასეთივე სერია დავაარსოთ რომელიმე გამომცემლობაში და შთამომავლობას გავაცნოთ მათი რჩეული ნაწერები.

ეს იქნება მათი დაკარგული საფლავიცა და გახსენებაც, ოღონდ ჩქარა, ვიდრე ამ წიგნებს თავისი მკითხველი ჰყავს და ელოდება, ვიდრე თანამედროვეთა ხსოვნაში კიდევ ცოცხლობენ მათი აჩრდილები“.

სამწუხაროდ, ეს სერია არც ერთ გამომცემლობაში არ შექმნილა, უფრო მეტიც, ქართველური დაუდევრობით დღემდე არ მომხდარა ამ ლიტერატურის გამოცემის კოორდინაცია, თუმცა „საბჭოთა საქართველოს“ ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურის რედაქციის პერსპექტიულ გამოცემათა სიაში ყველა ის ავტორია შეტანილი, რომელთა შესახებაც დღეს კამათი გვიხდება. და რომლებსაც, როგორც ჩანს, კოოპერატივების „დახმარებით“ მალე მივიღებთ.

●

1989 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ რუსთაველის საზოგადოებასთან ერთად გამოსაცემად მოამზადა ნოე ჟორდანიას „ჩემი წარსული“ და რევაზ გაბაშვილის „რაც მახსოვს“ (პირველის ბოლოსიტყვაობა ეკუთვნის დოც. უ. სიდამონიძეს, მეორისა — პროფ. ა. მუჯირს), რომელთა შემოსავალიც დემოგრაფიულ ფონდს უნდა მოხმარებოდა.

სამწუხაროდ, მოხდა ის, რასაც ვერავინ იფიქრებდა: მას შემდეგ, რაც რევაზ გაბაშვილის მემკვიდრეებმა ციალა და გურამ გაბაშვილებმა გამოსაცემად დაგვითმეს წიგნი (თორემ მოგონებების ქსეროასლი თბილისში საკმაოდ გავრცელებული გახლდათ) და რედაქციამ იგი მოამზადა წარმოებაში ჩასაშვებად, გურამ შარაძემ გამომცემლობაში წარმოადგინა რ. გაბაშვილის მემკვიდრეების ხელწერილი, რომლის ძალითაც წიგნის გამოცემის უფლება მხოლოდ და მხოლოდ მას ეკუთვნის (?!). მანვე მოითხოვა თავისი წინასიტყვაობით კოოპერატივ „მერანი-89“-ის საშუალებით მისი გამოცემა და თანაც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ გრიფით.

ამგვარად, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოსა“ და რუსთაველის საზოგადოებას დაუპირისპირდნენ გურამ შარაძე და კოოპერატივი „მერანი-89“.

გამსახკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ედუარდ სიხარულიძესთან ჩვენი საუბრის დროს, ბატონო გურამ (შემდეგ შემოგვიერთდა დოც. ა. გოძართელი — რუსთაველის საზოგადოების საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე), რა უცნაურადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, სასწორი თქვენს სასარგებლოდ გადმოიხარა, რადგან თქვენ ასაბუთებდით თქვენს პრიორიტეტს — პირველმა დაწერეთ რევაზ გაბაშვილზე. ამასთან, მაკულატურის ტალონები უკვე „დაბეჭდილი და გავრცელებული“ (?!) აღმოჩნდა. თუ რატომ და ვისი განკარგულებით, ეს კიდევ საკითხავია — კოოპერატივს გამომცემლობასთან ხელშეკრულება ჯერ კიდევ გაფორმებული არ ჰქონდა.

11 დეკემბერს, გაზეთ „თბილისში“, გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ „აქამდე და დღეს“, რომელშიც ვწერდი, რომ „საბჭოთა საქართველო“ ბეჭდავს ნოე ჟორდანიასა და რევაზ გაბაშვილის მემუარებს და რომ მათი შემოსავალი დემოგრაფიულ პრობლემებს მოხმარდება. ცხადია, თქვენი წინადადებით, ბატონო გურამ, მეორე დღესვე გამომცემლობაში მობრძანდა რ. გაბაშვილის მემკვიდრე, ბატონი გურამ გაბაშვილი, განაცხადა, რომ წინაალმდეგია გურამ შარაძის გარეშე გამოიცეს მამამისის წიგნი და, თუ საჭიროა, ბოლოსიტყვაობის ჰონორარს გადაუხდის პროფესორ ალ. მუჯირს.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია.

ბატონო გურამ! როდესაც გამომცემლობას შესთავაზეთ ვ. მგელაძის მემუარების გამოცემა, თქვენთვის ცნობილი გახდა, რომ რედაქცია „ქართული მემუარული ლიტერატურის“ სერიით გამოსაცემად ამზადებდა რ. გაბაშვილის, ნ. ჟორდანიას, ი. ზურაბიშვილის მოგონებებს. თქვენ დაინტერესდით შემდგენლის ჰონორარით და ბრძანეთ: „გარიგება ხვნაში სჯობიაო“, მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენთვის გარიგება ხვნაშიც და მით უფრო მკაში, კოოპერატივთან უფრო სჯობია, ვიდრე გამომცემლობასთან. მაშინვე გაიფიქრეთ, ალბათ, კოოპერატივის დახმარებით მაინც დაასწრებდით გამომცემლობას წიგნის გამოცემას და იმჯერად დუმილი არჩიეთ. შემდეგ კი, ბ-ნ ედუარდ სიხარულიძესთან ჩვენი დაპირისპირების დროს განაცხადეთ, მე ეგ არ გამიგონია, ალბათ, დავყრუვდი ან სკლეროზი დამემართაო. იქნებ, არც ის გაგიგონიათ, რომ წლების განმავლობაში სამსონ ფირცხალავას მემკვიდრეობის გამოქვეყნებაზე ვმუშაობდი. იქნებ, ჩემთვის ამ წიგნის რეცენზენტობაც არ შემოგითავაზებიათ?! მაგრამ თქვენ ყველაფერს „ივიწყებთ“, როდესაც გჭირდებათ. თუ თქვენ გაბაშვილის მემკვიდრეებს ხელწერილი ჩამოართვით, მე ფირცხალავას მემკვიდრეებმა თავიანთი სურვილით გადმომცეს ს. ფირცხალავას გადარჩენილი არქივი (რომელიც მალე ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ არქივს გადაეცემა). ახლა როგორ მოვიქცეთ, ისევ თქვენ გეკუთვნით პრიორიტეტი? (თუმცა რ. გაბაშვილის წიგნი თქვენი ჩამოტანილი არ იყო და ვიდრე ჩამოიტანდით, არსებობდა თბილისში. თქვენ პრიორიტეტს კი არა, მონოპოლიას იჩემებთ მთელს ემიგრანტულ ლიტერატურაზე). კურიოზია, მაგრამ ამ ცოტა ხნის წინ ტელევიზიით, საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში“ გამოსვლისას, ტელემაყურებელს მცდარი ინფორმაცია მიაწოდეთ, თითქოს თქვენ ჩამოიტანეთ უცხოეთიდან აკაკი წერეთლისა და გრიგოლ რობაქიძის ფონოჩანაწერები, მაშინ, როდესაც ისინი კარგახანია საქართველოს რადიოს „ოქროს ფონდში“ ინახება.

ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ საქართველოში დაბრუნდა ემიგრანტული ლიტერატურა. 1989 წლის მაისში გამომცემლობა „მერანში“ გაიხსნა საინტერესო გამოფენა, რაც უდავოდ თქვენი დამსახურებაა.

ნამდვილად კარგი საქმე გაკეთდა. პირველად სწორედ იქ დავინახე სამსონ ფირცხალავას მიერ საფრანგეთში გამოცემული წიგნი „ამბავთა და საქმეთა მოლოდინში“ (რომელიც შემდეგ, არ ვიცი, როგორ მოგივიდათ, ჩემი თხოვნის გარეშე წამაკითხეთ), თორემ ამ წიგნის არსებობა რომ მცოდნოდა, ს. ფირცხალავას „მოგონებათა ფურცლების“ შესავალში მოვიხსენიებდი 1939 წელს საფრანგეთში გამოცემულ „თამარ მეფესთან“ ერთად. ეს წიგნი სარგებლობისათვის ოცი წლის წინ დამითმო პროფესორმა იოსებ მეგრელიძემ, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოვახსენებ.

ამ გამოფენის გახსნაზე ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა ბატონმა აკაკი ძიძიგურმა ტელევიზიით საუბრისას განაცხადა, რომ ეს გამოფენა გადაინაცვლებდა ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ხოლო შემდეგ სამუდამოდ დაივანებდა ქართველოლოგიის განყოფილებაში სხვა უნიკალური ფონდების გვერდით.

მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინი არ გამართლდა.

1989 წლის 24 ივნისს, გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში აღნიშნეთ:

„განსაკუთრებული გულმოდგინებით მეხმარებოდნენ ლონდონში აკაკი რამიშვილი, ნოე რამიშვილის ვაჟი, მიუნხენში — ილია კუჭუხიძე, კარლო ინასარიძე, სოსო ჟორჟოლიანი, მადრიდში — თამარ ბერიძე, პარიზში — მამია ბერიშვილი და გიორგი ნოზაძე.

— სად შეინახება მთელი ეს სიმდიდრე გამოფენის დახურვის შემდეგ და როდის ექნება ჩვენს საზოგადოებას საშუალება გაეცნოს მას?

— ყველაფერი ეს იქნება ჩემთან, რადგან აქ არის უნიკალური ფოტოები, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც უნდა შევისწავლოთ. წიგნებით დაინტერესდნენ გამომცემლობები და, ალბათ, ახლო მომავალში ჩვენი სასიქადულო მწერლებისა და მეცნიერების ნაშრომები ხელმისაწვდომი გახდება ქართველი საზოგადოებრიობისათვის“.

ბატონო გურამ! ეს ნაშრომები მართლაც ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ფართო საზოგადოებრიობისათვის, მაგრამ ამისათვის, როგორც ჩანს, სხვადასხვა გზა არსებობს.

თქვენ მსაყვედურობთ, რომ რ. გაბაშვილის წიგნისათვის ბოლოსიტყვაობა თქვენ კი არა, პროფესორ ა. მუჯირს შევუკვეთეთ. ყველა ემიგრანტული ლიტერატურა თქვენი წინასიტყვაობითა და ბოლოსიტყვაობით ხომ ვერ გამოვა?! ისტორიკოსებს ვინ წაართვა უფლება, შეაფასონ პოლიტიკური მოღვაწის შემოქმედება და მისი ნაშრომი?!

იოსებ იმედაშვილი ზაქარია ჭიჭინაძეზე წერდა: „ზაქარია — მეწიგნე, ზაქარია — გამომცემელი, ზაქარია — აჭარაში მოგზაური, ზაქარია — სემინარიელთა მზრუნველი, ზაქარია — არალეგალურ წიგნთა მცველი და გამავრცელებელი, ზაქარია — მუშათა მასწავლებელი და აღმზრდელი, ზაქარია...“ ნათელი დაადგეს ზაქარია ჭიჭინაძეს, მერედა რაზე და ვისზე აღარ წერდა ის სულკურთხეული ადამიანი, ხედავდა, უჭირდა საქართველოს და ისიც, როგორც შეეძლო, ისე ეწეოდა მძიმე ჭაპანს, მაგრამ ახლა რა გაგვიჭირდა ისეთი, რომ ყველაფერი ერთ კაცს დაგევალოთ, წერთ პოლიტიკურ მოღვაწეზე, მწერალზე, ისტორიკოსზე, ბალერინაზე...

დავიჯერო, თქვენგან დასახელებულმა პიროვნებებმა, აკაკი რამიშვილმა, ილია კუჭუხიძემ, კარლო ინასარიძემ, სოსო ჟორჟოლიანმა, თამარ ბერიძემ, მამია ბერიშვილმა, გიორგი ნოზაძემ, რომლებიც დახმარებას გიწევდნენ, ქართველებთან რომ დაგაბარეს, ფიზიკურად გადარჩითო, ისიც გითხრეს, სულსა და ზნეობაზე აღარ იზრუნოთო?!

სხვათა შორის, სამსონ ფირცხალავას ნაცნობთა წრეში წმინდანს უწოდებდნენო, — წერს იპოლიტე ვართაგავა, ხოლო გერონტი ქიქოძე იგონებს, რომ იგი მოწამის როლს შეასრულებდა, რელიგიური დევნის დროს რომ დაბადებულიყოო.

მკითხველისათვის ერთნაირად საინტერესოა მისი ნაწერები, როგორც სამშობლოში დაბეჭდილი, ისე ემიგრაციაში და ემიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ. ემიგრანტული ლიტერატურის ხიბლით არ არის მიზანშეწონილი ცალკეული ნაწარმოებების გამოცემა.

„...ეხლანდელი ქართველობის უდიდესი ნაკლია თავის ერის თავგადასავლის სრული უცოდინარობა და ამით მეტად შეფერხებულია როგორც ჩვენი საზოგადოებრივი, ისე ყოველდღიური ცხოვრებაო“, — მოგყავთ მისი ციტატა.

ამის დაბეჭდვას დღეს არც თვით ავტორი ისურვებდა.

მოგახსენებთ, რომ „ქართველთა წინაპრები და მათი მონათესავე ტომები წინა აზიაში 40-6 ს. ს. ძვ. წ.“ სამსონ ფირცხალავამ 1948 წელს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, განმეორებით გამოსცა. წიგნს საფრანგეთში ქართული კრიტიკა უარყოფითად გამოეხმაურა („ბედი ქართლისა“, პარიზი, 1950, №8) და არც ქართველი მეცნიერები გახლდნენ მაღალი აზრისა ამ წიგნზე, დღეს ამ წიგნის გამოცემა, მით უფრო ისტორიკოსის მეცნიერული შეფასებისა და თვალთახედვის გარეშე, სამსონ ფირცხალავასთვის, რომელსაც თანამედროვენი წმინდანს უწოდებდნენ, დათვური სამსახურის გაწევა იქნება. იგი პუბლიცისტი გახლდათ და მის ნაშრომებს მეცნიერული პრეტენზია არ ჰქონია.

●

ეს წერილი მზად იყო დასაბეჭდად, როცა გავიგეთ — თბილისში კოოპერატივმა „სადარამ“ (ისევ და ისევ კოოპერატივი!) ხელმოწერა დაიწყო ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეულზე (მთავარი რედაქტორი — გ. შარაძე).

ტელევიზიით გამოსვლისას პროფესორმა ლევან სანიკიძემ (დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე) განაცხადა, რომ ამ საქმეს გამსახკომი მხარს უჭერს (არა კოოპერატივის გამოცემას — ლ. ნ.). თავის მხრივ „საქწიგნმა“ პრესაში გამოაცხადა, რომ ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის მოსახლეობაში ამ მრავალტომეულის გავრცელებაზე, და ეს მაშინ, როდესაც „საქწიგნი“ გამსახკომს ექვემდებარება.

ემიგრანტული მემკვიდრეობა სრულიად საქართველოს საკუთრებაა და მის გამოცემაში მონაწილეობა შესაბამისი დარგის სპეციალისტებმა და გამომცემლობებმა უნდა მიიღონ, მათი გამოცემა ცალკეულ პირთა და კოოპერატივთა გამდიდრების წყაროდ არ უნდა იქცეს. და თუ ამ მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა დღეს საქართველოს არ ძალუძს, მაშინ მისი მიღების ღირსიც არ ყოფილა.

ნუთუ მართლა ასე ძნელი გადასაწყვეტია, ვის ეკუთვნის დაბრუნებული საუნჯე?!

**ლეილა ნანიტაშვილი,**
**გამომცემლობა „საქართველოს“ ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურის რედაქციის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

**P.S.** ეს წერილი უკვე დაწერილი იყო, რომ მკითხველმა მიიღო სამსონ ფირცხალავას „ისტორიული ლანდები“. წიგნი შეადგინა და ბოლოსიტყვაობა დაურთო გურამ შარაძემ. რედაქტორი — გივი ალხაზიშვილი, გამომცემლობა „მერანი“, კოოპერატივი „ისტორიკოსი“.

იმედია, მის დანარჩენ წიგნებსაც ასევე ოპერატიულად მივიღებთ.

ლ. ნ.

# ტერორისტის ჩანაწერები

**სამუშაოს** შემდეგ სახლში არ წავედი, პირდაპირ ავლაბრისაკენ, აბრეკთან ავიღე გეზი. აბრეკ ბათოშვილი ებრაელი იყო. როდესაც ის ფრონტზე ტყვედ ჩავარდა, ქართველებმა იგი თავისიანად მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ხვდებოდა მის წარმოშობას, არავინ აღმოჩნდა ისეთი, გერმანელებთან დაებეზღებინა; და არა მხოლოდ ის, მასთან ერთად სხვა ებრაელებიც იყვნენ. ის ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი და უფრო გამოცდილი იყო. ბანაკში მფარველობდა და ჩემთვის არასდროს ერიდებოდა ხიფათს. ამიტომ იყო, რომ მე არც ერთ ჩემს თანამოსაქმესთან, არც იმათთან, რომლებიც ჩემთან ერთად გაასამართლეს და არც იმათთან, რომლებიც გამოცდილნი მყავდნენ, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო ამ სასამართლოს გადაურჩნენ, მისვლა არ მიფიქრია. ჩემი ფიქრი მხოლოდ აბრეკს მიწვდა.

სახლში სტუმრებიც ჰყავდა. საუბარი მხოლოდ ქუჩაში მოვახერხეთ.

— აბრეკ, იცი, საქართველოში ხრუშჩოვის მოსაკლავად შეთქმულება მზადდება, — თვალებში ჩავხედე და დავუმატე, — თურმე.

— ესღა აკლდა საქართველოს, — მიპასუხა შეცბუნებულმა, — თუ ეს გაკეთდება, უნდა მოხდეს საქართველოს გარეთ და არა ქართველების მიერ.

— პირიქით, — ვუპასუხე აღგზნებულმა, — ეს ამბავი საქართველოში უნდა მოხდეს და სწორედ ქართველების მიერ.

აბრეკი გაოცებული დამაკვირდა.

— ვინმემ რაიმე გითხრა?

— არა, მე არა. მაგრამ არიან თურმე ადამიანები, რომლებიც საქართველოს განთავისუფლების გულისათვის ამ აქტს ჩაიდენენ.

აბრეკი დუმდა. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდესო:

— სვერდლოვის ოლქიდან ჩამოსული პატიმრები დაბეჯითებით ლაპარაკობენ, ტაიგაში, რომელიღაც მიკარგულ ქალაქ კრასნოტურინსკში თურმე ხის კარვების ვეებერთელა ქალაქს აშენებენ. ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, ეს ქართველებისთვის არისო, — მერე შემომხედა თვალებში, — მართალია, იქ მთელი საქართველო არ მოთავსდება, მაგრამ ამ მშვიდობიანობის დროს, როცა არც ომია და არც არეულობა, ყოველივე შინაგანი წინააღმდეგობა ჩაახშვეს, 9 მარტი სისხლით შეღებეს, ამხელა ვეებერთელა ადგილს ქართველებისთვის ამზადებენ. რას ნიშნავს ეს? რატომ ლაპარაკობენ ვიღაც პროვინციული რუსები, რომ ეს კარვები მაინცდამაინც ქართველებისთვისაა?

მით უმეტეს, აბრეკ, დიქტატორი უნდა მოკვდეს ასეთი მზაკვრობისათვის.

აბრეკს პირდაპირ ვერ ვეუბნებოდი, რომ ასეთი წინადადება მე მომცეს, რადგან ვხედავდი მის უნდობლობას, მაგრამ ჩემს გულმხურვალე ლაპარაკისას ჩემს თავს უფრო ვარწმუნებდი, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა ამ დიდი იმპერიის დასანგრევად და ვერავითარი ცალკეული შეთქმულება, თუნდაც საკმაოდ მაღალ სფეროშიც.

მოვდიოდი და ვფიქრობდი, მაქვს კი უფლება საქართველოს საფრთხეში ჩაგდების?

ამ დროს მეტეხის დაღმართის დასაწყისში შავი „ვოლგა“ გაჩერდა. საჭესთან ქართველი ჭაღარაშერეული მამაკაცი იჯდა, უკან ვიღაც ქერათმიანი ლამაზი რუსის ქალი თავისი ნაშიერებით. მანქანის უკანა კარი გაიღო და ქალთან ერთად ბავშვები რუსულ-ქართული ჟრიამულით გადმოცვივდნენ. ეს სიმბოლო საკმარისი იყო ჩემი თავის დასაწყნარებლად.

რამდენიმე დღე ოთარი არ მენახა. მაინტერესებდა, როგორი იქნებოდა ჩვენი შეხვედრა გულშინადებ საიდუმლო ზრახვათა გაზიარების შემდეგ. მაგრამ როცა შევხვდით, შეხვედრამ უშედეგოდ ჩაიარა. ბიბლიოთეკაში ჩემი განყოფილების ოთახი ჭადრაკის მოთამაშეებით იყო სავსე. ოთარიც სიამოვნებით ჩაერია თამაშში...

ოთარის მამას, ვიქტორს, ორგანოების სამშენებლო ნაწილში რაღაც მნიშვნელოვანი თანამდებობა ეკავა ადრე. სამეურნეო სამუშაოზე გადასულიყო. იქ კი რაღაც ადმინისტრაციული დანაშაული ჩაედინა და სასჯელს რუსთავის კოლონიის, ჯანდარის მიმაგრების, პუნქტში იხდიდა. თურმე მამაჩემის კარგი ნაცნობი ყოფილა. ერთხელ ოთარის უმცროსი ძმა მოვიდა და ოთარისაგან მოწვევა გადმომცა. თურმე მამამისს ჯანდარიდან ჩამოსვლა მოეხერხებინა და მისთვის ჩემი გაცნობა სურდა.

უკვე კარგად შეზარხოშებულს ოთარი გასაცილებლად აივანზე გამომყვა.

— რა ქენი, ალიკო, იფიქრე რამე?

— უუ... რომ იცოდე, ოთარ, რამდენი კითხვა მაქვს შენთან...

— კარგია, ამ დღეებში მოვალ შენთან.

ბიბლიოთეკაში მე მებარა მოძრავი განყოფილება. ჩემი საქმე საწარმოებში წიგნების დარიგება იყო. ჩემი ოთახის გვერდით სამკითხველო დარბაზის პერიოდიკის შესანახი საკუჭნაო იყო, რომელიც ფანერის კედლით იყო გამოყოფილი და, რა თქმა უნდა, ჩემი ოთახიდან ჩურჩულიც კი გადიოდა. ამ გარემოებისათვის მაშინ ყურადღებაც კი არ მიმიქცევია. მაგრამ ჩემი და ოთარის საუბრის შემდეგ ერთხელ ჩემს სამუშაო ოთახში შეწვია ჩემი ძველი მეგობარი ქალი და თურმე ჩვენი, შეყვარებულთა ჩურჩული და ამბორი სამკითხაო დარბაზის გამგეს, გივის ფანჯრის კედლის მიღმიდან მოესმინა და თანამშრომელ ქალებში გამჭორა. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, დამაფრთხო. ვიცოდი, რომ გივი ოდესღაც ჩეკისტის კარიერაზე ოცნებობდა, მაგრამ ეს არ გამოუვიდა და ბიბლიოთეკაში ჩარჩა.

იმ დღეს, როდესაც ოთარი შემოვიდა ჩემს ოთახში, ამდენი დაგროვილი კითხვის ერთად მიყრა მინდოდა. მასაც ჰქონდა ჩემთან სალაპარაკო, როგორც ამას წინასწარ მეუბნებოდა. მაგრამ უცებ ვიგრძენი, სამკითხაო დარბაზის საკუჭნაოში ვიღაც შევიდა. როგორც ვთქვი, საკუჭნაო და ჩემი განყოფილება თხელი დიქტით იყო გაყოფილი. უცებ ეჭვმა გამკრა. სპეციალურად ხომ არ იყო ვინმე ჩვენს მოსასმენად შესული? თანაც ოთარს ვერაფერს ვეტყოდი. არ დამფრთხალიყო, ან ცოტა ფიცხი ხასიათის მქონე რას მოიმოქმედებდა? ამიტომ უცებ სამკითხაო დარბაზში გავვარდი. დარბაზში თავჩაღუნული მკითხველის გარდა არავინ იყო. საკუჭნაოს კარი გადაურაზავად მჭიდროდ იყო მიხურული.

— გივი, — წამოვიძახე გაბრაზებულმა. საკუჭნაოს კარი გაიღო და გივი კი არ გამოვიდა, დაფეთებული გამოვარდა და თითქმის პირდაპირ ჩენილი მომაჩერდა. დამეწყო ჩხუბი, ჩემი თავი უნდა გამომეაშკარავებინა, არადა, ხმას ვერ ვიღებდი.

— შენ მიძახდი? — შევეკითხე ბოლოს.

— არა.

მეც, ვითომ არაფერი, უკან გამოვედი. ოთარი წიგნებს ათვალიერებდა. ისე ვიყავი აღელვებული, რომ იქ აღარ დამედგომებოდა. ოთარს რომ არაფერი შეემჩნია, კარში გამოვიყვანე და მუშტაეთისაკენ ბაასით წავედით.

მაშინ ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, გაგვერკვია, თუ რისთვის გვინდოდა ამ აქტის მოხდენა.

— მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის! მხოლოდ დამოუკიდებლობისათვის! — მოკლედ მოჭრა ოთარმა.

— ოთარ, მე სადღაც წაკითხული მაქვს, ვიღაც ინდოელი, მგონი გახონმა, თავს დაესხა ინგლისის მეფის ნაცვალს ინდოეთში და მოკლა. როდესაც კითხეს, რატომ ჩაიდინა, უპასუხა: მე არც დიდი ქონება მაქვს, არც დიდი განათლება, ჭკუითაც სხვაზე უპირატესი არ ვარ, მე მაქვს მხოლოდ სიცოცხლე და ეს სიცოცხლე სამშობლოს შევწირეო.

— მან სამშობლოს კოლონიური ყოფიდან განთავისუფლებას შესწირა თავი, ჩვენ კი სრული განადგურებისაგან, ან აბსოლუტური გადაგვარებისაგან უნდა ვიხსნათ სამშობლო. თუ გაგრძელდა ნანატრი „მშვიდობა“, ჩვენ გადავგვარდებით. ჩვენი ხსნა ასეთ ყოფაში აღარ არსებობს.

— კი მაგრამ, ოთარ, ჩვენ თუ ეს ტერორი მოვახდინეთ, ამით ჩვენ ექსცესს არ გამოვიწვევთ?

— მართალია, მაგრამ აქ მთავარია დასწრება. უცაბედობის მომენტი. საერთაშორისო დაძაბულობის გამწვავება. განა მე იმდენად სულელი ვარ, რომ ვიფიქრო, ყველაფერი იოლად, როგორც მე მინდა, ისე მოხდება?

მაშინ ოთარი მომიყვა, როგორ არის განლაგებული და დაცული მილიციის, ავტოინსპექციის მიკროფონიანი მანქანები. მათი გამოყენება თავზარის დასაცემად დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. მაგრამ მერე? ქართველობა მოისმენს?

— აი, კითხვა — ასეთი გაურკვეველი შედეგისათვის, ღირს თუ არა თავის გაწირვა? ამას თითოეულმა თვითონ უნდა უპასუხოს. მე კი მგონია, ღირს. ვინც ვერ შეგუებია ამ სიცრუეს, მისთვის ამაზე უკეთესი შემთხვევა არ არსებობს, — თქვა ოთარმა.

ბევრი ფიქრის და ყოყმანის შემდეგ, ჩვენ იძულებულნი ვიყავით, ასე ვთქვათ, კარში გავსულიყავით, დამხმარე ძალები სხვაგან გვეძებნა. აი ერთხელ, მივადექი კაცს, რომელიც ბანაკებში ვაჟკაცის სახელით სარგებლობდა. ვიფიქრე, თუ იგი თავისუფლების მომხრეა, კონსპირაციის წესებით უნდა დაეცვა, ე. ი. ვინ და რას აკეთებს, კითხვა არ უნდა დაეწყო, მაგრამ შევამჩნიე, ის თავის ადგილის მოპოვებაზე უფრო ფიქრობდა, ვიდრე სხვა რამეზე. ტახტზე წამოწვა, ჩაის დაუწყო თხუპნა ძველი თავადივით. მე ვიჯექი მის წინ, როგორც გამრთობი. გავიფიქრე, სანამ ჩემი თანდასწრებით წათვლემასაც მოასწრებდა, ჯობს გავცლოდი იქაურობას. ასე გაწბილებული წამოვედი მისგან, მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ შორიდან ჩემი და ოთარის მეგობრობა უკვე იცოდა. რა თქმა უნდა, რაიმე ხიფათის შემთხვევაში ამ ცოდნის ბოროტად გამოყენება ადვილად შეეძლო. დღესაც არ ვიცი, გამოიყენა თუ არა. იმ დღეებში ოთართან მივედი. მის მრავალრიცხოვან ოჯახში მხოლოდ თვითონ და ერთი ახალგაზრდა სტუმარი იყო.

— ოლეგი, აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის სტუდენტია, — გამაცნო ოთარმა, — ის თუჯის ჩამოსხმას ეუფლება. აი, ახლა ვლაპარაკობდით, რამე რომ იყოს, თუ შეიძლება ყუმბარის კორპუსის ჩამოსხმა.

ავხედ-დავხედე ბიჭს, მან უცებ ჩემი პირველი პატიმრობის დრო მომაგონა. ბიჭი კი იყო ჯანღონით სავსე, მაგრამ გააკეთებდა ამ სახიფათო საქმეს?

— კი მაგრამ, განა აკადემიაში შეიძლება ჩამოასხათ ყუმბარა და ვერავინ დაგინახოთ?

— ბიჭები ისე აკეთებენ, რომ ხელმძღვანელობამ, რა თქმა უნდა, არ იცის.

— ჩვენ შევდივართ და მარტო ვმუშაობთ ხოლმე, — თქვა ოლეგმა, — სახელოსნოში შეიძლება კორპუსის დამზადება, მასში ბიქფორდის შნურის და დეტონატორის კაპსულის ჩახრახვნა. შემდეგ ამ ხრახნის მოხსნა უნდა შეიძლებოდეს და შიგ ამონალის ჩადება.

— მისი მოქმედების რადიუსი რამდენი მეტრი იქნება?

— ორასი, — თქვა, არ მომეწონა ეს საუბარი. თითქოს ჩვენ ხრუშჩოვს უკაცრიელ ადგილზე ვხვდებოდით. ამოიღე ყუმბარა, მოუკიდე ცეცხლი და ისროლე... ამდენს ვინ გაცლის, დაცვაც რომ არ იყოს, ხალხშიც ვერ მოახერხებ ამას. ამიტომ, როგორც კი წამოვედი, ეს ნალაპარაკევი უმალ დამავიწყდა. მაგრამ შემდგომში, სამწუხაროდ, ამ ლაპარაკმა ჩვენთვის თითქმის გადამწყვეტი როლი ითამაშა გამოძიების და სასამართლოს დროს. იარაღის შოვნის საკითხი ისე მწვავედ დაისვა, რომ თუ აქამდე ნაწილობრივ მაინც განზე ვიდექი, ახლა ვალდებული ვიყავი ამომეწურა ყოველივე შესაძლებლობა. დავძლიე პირველი შიში, თუმცა, ასე იოლად არაფერი გამომსვლია ჩემს სიცოცხლეში...

●

ჩემს მეგობარს, ჯელილს, დედა გარდაეცვალა. პანაშვიდზე ვიყავი, იქიდან ბავშვობის მეგობრები მე და ცოტნე ერთად წამოვედით. ის და ჯელილი ჩვენი სტუდენტობის ე. წ. შეთქმულების მონაწილენი იყვნენ, მაგრამ ჩვენი, მე და ტუშიკოს, სიფხიზლის გამო ციხეს გადაურჩნენ. ცოტნესათვის არ დამიმალავს ჩვენი ამბავი, მხოლოდ მესამე პირში ვუყვებოდი. ვხედავ, ცოტნეს თვალები უფრო და უფრო უბრწყინდება.

— ახლა დედაჩემი უკვე აღარ მეცოდება, იმას ჩემი ცოლი და შვილი დარჩება, — თქვა ცოტნემ.

— ეეე, ცოტნე, კი მაგრამ, ვინ მოგცა წინადადება, რომ დედის გასაწირად მზად ხარ?

— არა, უდაოდ შეიძლება, გამოვდგე. ბევრი კლიენტი მყავს სამხედროებს შორის და შემიძლია სათევზაოდ „ლიმონკების“ მოტანა დავავალო.

●

მეორე დღესვე ოთარს მხოლოდ ჩემი ვარაუდი გავანდე და უჯარმისაკენ გავემგზავრე. ცხვირჩაჭეჭყილმა ავტობუსმა, როგორც იქნა, ხრიკინით ჩამათრია. ჩემი ვიზიტის მიზანი იყო ჩუმასთან შეხვედრა. მაშინ მისი გვარი დანამდვილებით არ ვიცოდი, მაგრამ ვვარაუდობდი, რომ ჩუმაკი იყო.

აი, ჩამოვედი ავტობუსიდან, ავტობუსმა კი გომბორისაკენ განაგრძო თუხთუხი. დავრჩი მარტო. ზაფხულში, როცა აქ ვმუშაობდი, თითქოს ბევრი ნაცნობი და კეთილისმსურველი მყავდა, მაგრამ ახლა ვისთან რა მინდოდა? უცებ თავდაჯერება გამიცამტვერდა, მიცნობს? ისევე მენდობა? მაგრამ რაღა ჩარა მქონდა, განვაგრძე გარნიზონისაკენ გზა. ნახევრად ღიაბული ჭიშკრიდან ვიღაცის გაბადრული სახე შემომჩერებოდა. ეტყობა, ამ ჯარისკაცს ვახსოვდი. მოვიკითხე თუ არა ჩუმა, იმ წუთში ხმამაღლა დაუწყო ძახილი. არ მინდოდა პოლიტხელ ვაშაკიძეს რომ დავენახე.

წამები და ჩუმაკი ჩემსკენ მორბოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ბევრი ღეჭვის შემდეგ ვითომ სათევზაოდ მინდოდა ერთი ორი „ლიმონკა“. სულ არ მოველოდი, ისე უცებ დამთანხმდა. დაღამებულზე უნდა მივსულიყავი უკანა ღობიდან. ცოტა ვილაპარაკეთ, მან ფულის გაგონებაც კი არ მოინდომა. უკვე დაღამებული იყო. ბოდიალის შემდეგ მივაგენი დანიშნულ ადგილს. ძლივს დავინახე, ჩუმა ხელბადით ქაღალდში გახვეულ რაღაც ყუთს მოათრევდა.

— აქ მთელი ყუთია, თექვსმეტი ცალი, — მითხრა და ხელში მომაჩეჩა. მერე გამომკითხა, თუ ვიცოდი, როგორ მეხმარა და დაწყნარებული გამშორდა.

დავრჩი ამ სიბნელეში ყუთით ხელში და გულმა საკმაოდ უსიამოვნოდ დამიწყო ბაგა-ბუგი. ხომ შეიძლებოდა, ჩუმა გამოსვლისას ვინმეს დაენახა, ან მე, უცხო ქალაქელი კაცი, რაღაც საეჭვო ყუთით ხელბადეში?

რაღა დამრჩენოდა, შარაზე გავედი. ერთ-ერთი ხის ქვეშ, უცხო თვალისათვის ძნელად დასანახ ადგილზე დავდე „ლიმონკებით“ სავსე ყუთი და ავტობუსს დაველოდე. ავტობუსი მალე მოთუხთუხდა. თითქმის ცარიელი იყო. უკანა ადგილი შევარჩიე და დავჯექი. ავტობუსი დაიძრა. როცა თითქმის შვებით ამოვისუნთქე, ფარების შუქმა სიბნელეში ხელაწეული მილიციის ოფიცერი გაანათა. მძღოლმა დაამუხრუჭა. თითქოს დენმა დამკრა და თავიდან ფეხებამდე გამიარა. შიშით სუნთქვა გამიჭირდა, იმდენად წავხდი, რომ სხეულს ვეღარ ვფლობდი. მაგრამ ოფიცერმა წინ, თეთრ თავსაფრიან ქალთან ირჩია დაჯდომა. მერე ვფიქრობდი, ამ ახალგაზრდა მილიციის ოფიცერს ჩემთვის რომ შემოეხედა, წამში მიხვდებოდა, რომ მე რაღაცას ვაშავებ და პირდაპირ შეეძლო ხელის წავლება, მაგრამ მან ლამაზმანის მეზობლობა არჩია და ჩემსკენ არც გამოუხედავს.

გზა ყოველგვარი ხიფათის გარეშე გავლიე, მაგრამ კანკალი, რომელიც სხეულს დაეუფლა, ვერა და ვერ დავიოკე, ვიდრე ქალი და მილიციის ოფიცერი მფრინავების სახლთან მოსახვევში არ ჩამოვიდნენ.

ოთართან რომ მივედი, გულს ათასი კატა მიფხაჭნიდა. კარში გამოვიყვანე.

— რა იყო, სახლში ვერ შემოხვიდოდი? — მკითხა.

უკვე, როდესაც კიბეებზე ჩავდიოდით, ხელში ბადე მივაჩეჩე.

— ეს რაა?

— ეს ყუმბარებია, როგორც გინდა, მოუარე.

— ვაჰ, — ერთი წამოიძახა გაოცებულმა და კიბეებზე ჩამოჯდა.

— ოთარს მოკლედ მოვუყევი, რა გადამხდა გზაზე. მღელვარებისაგან იმდენად გადაღლილი ვიყავი, რომ ერთი სული მქონდა, იქაურობას გავცლოდი. ოთარიც დამთანხმდა, ჯობდა, მე წავსულიყავი და ყუთის მოვლა-პატრონობა მისთვის მიმენდო. რა იდო ყუთში, როგორი „ლიმონკები“, მე აღარასდროს მინახავს. ჩვენდა სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ ამის შესახებ არსად არაფერი არ თქმულა. ეს ნიშნავდა, რომ ჩვენ სულსწრაფნი არასოდეს ვყოფილვართ. საერთო ხიფათმა სულიერად უფრო გაგვაკაჟა და გაგვამდიდრა. დღესაც პირნათელნი ვართ ერთმანეთთან საქმის და ვიქნებით საიქიოსაც, როცა ღმერთთან და ერთმანეთთან წარვსდგებით. ერთხელ ვკითხე: ნეტავ სად არის ის ყუმბარები ახლა?

— ახლა ალბათ მეც ვეღარ მოვძებნი, — მითხრა, — ან რად გინდა, ალიკო, მთავარია, ჩვენ ერთმანეთის წინაშე გამყიდველები (პადლეცები) არ ვყოფილვართ.

ასე დავუწყეთ ლოდინი ხრუშჩოვის ჩამოსვლას საქართველოში.

**ალიკო მელაძე**

**(გაგრძელება იქნება).**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №10

## ფრთხილად, ღალატია!

რუბრიკით — „ფრთხილად ღალატია!“ — ჩვენს გაზეთში გამოვაქვეყნეთ მოსკოვის მიერ ლომბარდის საშუალებით თბილისის ექსპლუატაციის მაჩვენებელი ციფრები. საქმეში ჩახედულ პირებს ვთხოვეთ ამ ციფრების კორექტირება (თუ გვეშლება). ერთ-ერთი ასეთი ჩახედული პირი, უთუოდ, საქართველოს საბინაო-კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ნიკოლოზ ნეფედოვია (ამ სამინისტროს სისტემაშია ლომბარდი)...

●

საქართველოში მდებარე საბაჟოებში უამრავი თანხა, ვალუტა შემოდის. აქედან, საქართველოში კაპიკი არ რჩება. ამ სამსახურის თავკაცად

## ფრთხილად, ღალატია!

ახლახან დაინიშნა ალექსანდრე იოსელიანი — საქინფორმის ყოფილი დირექტორი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი განყოფილების გამგე, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ყოფილი რედაქტორი. სწორედ მისი რედაქტორობის დროს დაიბეჭდა „ზარია ვოსტოკაში“ 9 აპრილის შემდეგ ის ავადსახსენებელი წერილი, როდიონოვმა ოსტატურად რომ გამოიყენა თავის სასარგებლოდ (მართლაც ასე იყო დაწერილი ის წერილი!) სსრკ სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე. კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდია.

უფალო, შეგვიწყალე

# ორიოდ სიტყვა ქართული ეკლესიის ერთ სატკივარზე

**თანამედროვე** მსოფლიო, როგორც ოდესლაც წარმართობა, ქრისტეს გზას „ცდუნებად" ან „სიცოფედ" მიიჩნევს. თანამედროვე გონება, რომელმაც დაგმო ქრისტიანული რელიგია, როგორც უაზრობა და უგუნურება, იგივე ძველი წარმართული მტკიცებებით რომ სარგებლობს. ერთობ სავალალოა, როცა ამგვარი მიწიერი, სეკულარიზებული აზროვნების ელემენტები აღწევენ მორწმუნე ადამიანის შინაგან სამყაროში, იქ კი ქრისტიანულ სათნოებათა სამოსში გამოწყობილნი გვევლინებიან და მახინჯ ნაყოფს ისხამენ. რატომღაც ყველაზე ნოყიერი ნიადაგი, რომელზეც ეს ნაყოფი განსაკუთრებით უხვად მოდის, კონფესიური სიწმინდის დაცვაა. დავუკვირდეთ, თუნდაც, იმ სტერეოტიპულ წარმოდგენას, ეკლესიურ მორწმუნეთა უმრავლესობას რომ აქვს შექმნილი მარტინ ლუთერზე. ეს წარმოდგენა, როგორც წესი, არასოდეს არ არის გააზრებული და დასრულებული — მას მხოლოდ ცალკეულ ფაქტთა უბრალო ჩამოთვლის სახე აქვს: გააუქმა შვიდი საიდუმლო, ცოლად შეირთო მონაზონი, უარყო წმიდანთა თაყვანისცემა. თუმცა ეს ყოველივე მეტნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს, არსებითი მნიშვნელობა მაინც არა აქვს, რადგან ჭეშმარიტებას რომ მხოლოდ სინამდვილესთან თანხვედრა მოეთხოვებოდეს, ცხოვრება მეტად ადვილი იქნებოდა. რეალურად კი მილიონობით ნამდვილი ადამიანი ისე ტოვებს წუთისოფელს, მის შემდეგ იმ კვალის მემილიონედიც არ რჩება, ზღაპრულმა ნაცარქექიამ რომ დაამჩნია ჩვენს გულებს.

დღევანდელ პირობებში ეკლესიური ცნობიერების მაცოცხლებელ წყაროს მოწყვეტილ პიროვნებას ორად ორი საყრდენი დარჩა: საკუთარი თავი და ტლანქი სინამდვილე. დასავლეთში ორივე საყრდენი ამომწურავად იქნა გამოყენებული: პირველი ურთულეს ფილოსოფიურ სპეკულაციებში, მეორე კი ყოველდღიური ცხოვრების სასტიკ პრაგმატიზმში. და მსგავსად იმისა, როგორც ევროპული გარემოსათვის შედარებით უწყინარი სოციალიზმი აღმოსავლურ ნიადაგზევე ბოლშევიკურ დიქტატურად მოგვევლინა, პროტესტანტული ევროპის წიაღში წარმოშობილმა ჭეშმარიტების კრიტერიუმმაც მეტად მახინჯი სახე მიიღო, როცა მართლმადიდებლურ სამყაროში შეაღწია. ჭეშმარიტებაზე სწორედ დასავლური, ბოროტი გაგებით ჟურნალისტური გაგება უდევს საფუძვლად იმ არგუმენტთა უმრავლესობას, რომელთა საშუალებითაც დღეს მართალი სარწმუნოების დაცვას ლამობენ მრევლში. მართლაც, რაოდენ შორს არის საღმრთო მცნებათა სიღრმისგან ის პრიმიტიული მეწვრილმანეობა, როცა ეკლესიის განყოფის თითქმის ერთადერთ მიზეზად რომაელ ეპისკოპოსთა ახირებას ასახელებენ, VII-VIII საუკუნეების ხატმებრძოლობა უეცარი, ლამის ცარიელ ადგილზე აფეთქებული სენი ჰგონიათ, ახალ სტილზე გადასვლისკენ მიმართულ ნაბიჯებს კი საახალწლოდ ხორცის ჭამის სურვილს მიაწერენ.

სარწმუნოებრივმა ალღომ თავისთავად სწორი დასკვნა გამოიტანა შექმნილი მდგომარეობიდან: „სულიერება გვაკლია!" მაგრამ კეთილმა შინაგანმა მისწრაფებამ საერთო ინტელექტუალური დონის შესაბამისი უბადრუკი განხორციელება ჰპოვა და ძველ ტრადიციათა აღდგენის ზერელე და მექანიკურ, ქრთამანეთთან ხშირად დაუკავშირებელ მცდელობებში გადაიზარდა.

მაგალითების მოძიება დიდ შრომას არ მოითხოვს.

პირველი მათგანი — სახელის გადარქმევა — მოჩვენებითი ჯაჭვია, მორწმუნისა ეკლესიასთან, ან, უფრო სწორად, რომელიმე მოძღვართან დამაკავშირებელი. თვით მორწმუნისათვის ეს საშუალებაა საკუთარი თავის სხვასთან დაპირისპირებისა, მაგალითად, ახლობლებთან, რომლებიც კვლავ ძველი სახელით მიმართავენ. ამ დაპირისპირებით იქმნება ილუზია ცოდვიანი სოფლიდან გამოსვლისა. მოძღვრისთვის კი სულიერი შვილისთვის სახელის შეცვლა ხერხია — გარეგნული საშუალების მოხმობით, ჭეშმარიტად სულიერ სფეროში საკუთარი უსუსურობის დასაფარავად. ამ მოვლენას ერთი კურიოზული მხარე აქვს: ქართულ სახელთა დიდი ნაწილი „არაქრისტიანულად" და „წარმართულად" არის გამოცხადებული, ჰოდა, სიდონიად და ბართლომედ ნოდებული რუსუდანი და კახაბერი ისე ჩაიკითხავენ ხოლმე წმ. დიონისე არეოპაგელის ცხოვრებას, რომ მისი სახელის წარმომავლობაზე არც დაფიქრდებიან.

მეორე მაგალითი „სულის მარგებელი" ანეგდოტებია, რომლებითაც უხვად კვებავენ მრევლს. სრულიად სერიოზული სახით ამტკიცებენ, რომ წმ. სერაფიმე საროველი კი არ გარდაცვლილა, არამედ სძინავს, რომ ბერის ლოცვა შვიდ თაობას აცხოვნებს, რომ ერთი მეუდაბნოის სიტყვამ ერთხელ შემწვარი კალმახი გააცოცხლა, რის გამოც კალმახის ტანზე დღემდე შეიმჩნევა წითელი ხალები. ყოველივე ამას უკიდურესი უწიგნურობის და საეკლესიო გადმოცემის სწორედ რომ პროტესტანტული პროფანაციის იერი დაჰკრავს.

თუმცა პროფანაციას არა მარტო საეკლესიო გადმოცემა განიცდის, არამედ ქრისტიანული აპოლოგეტიკაც. სულ უფრო და უფრო უმსგავსო ფორმას ღებულობს ჩვენი სამღვდელოების პოლემიკა სტაროვერებთან. მისი ყველაზე დიდი შედეგი ის იყო, რომ საფუძველი შეექმნა გაზეთ „ღვთიური გზის" მეორე ნომრის გამოსვლას. აშკარაა, რომ სამოციქულო ეკლესიის მოძღვრებმა ვერაფერი დაუპირისპირეს რუსული რელიგიური პროვინციალიზმის ამ ნაშიერს. სამაგიეროდ, განსაკუთრებით აპოლოგეტურად განწყობილ ეკლესიურ მორწმუნეთა თვალში რუსული რელიგიური აზროვნების საუკეთესო წარმომადგენლებმა — ფლოროვსკიმ, ფლორენსკიმ, სოლოვიოვმა, ბულგაკოვმა, ლოსსკიმ და სხვებმა — ე. წ. „ვოლნოდუმცების" უცნაური იარლიყი დაიმსახურეს. საინტერესოა, საიდან გაჩნდა ქართველი ქრისტიანის ხმაში ეს ცარისტული „ოხრანკის" სასტვენისთვის დამახასიათებელი ჰანგი?

მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, მაგრამ ეს არ არის მთავარი. უნდა შეწყდეს გაუთავებელი თავის მართლება მართლმადიდებლური ტრადიციის გაწყვეტითა და ეკლესიის მრავალწლოვანი დევნულებით. უფალი, რომელსაც ძალუძს ქვების აღდგენა შვილად აბრაამისა, უფალი, რომელმაც წინასწარმეტყველ იეზეკიელის თვალწინ ძვლების გროვა შეიარაღებულ ლაშქრად აქცია, ჩვენს დაცემულ სულსაც შეეწევა, ოღონდაც დავუტევოთ ბოროტისათვის გზის გაკაფვა ჩვენი თვითკმაყოფილებით, უწიგნურობითა და ყალბი კეთილკრძალულებით, აქაოდა, ემანდ არ გავისვაროთო. შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი არსებობს და მის საჩვენებლად ანტონ კათალიკოსის სიტყვები მსურს მოვიხმო: „ყოველი მაძიებელი მეცნიერებისაჲ (რომელ არს ცნობაჲ) მართალ არს, ხოლო ყოველი უმეცრებაჲ სცნობს ბოროტსა".

როდემდე უნდა ერქვას სიწმიდის დაცვა, თუნდაც, თეატრის წრეგადასულ განქიქებას, თითქოს ხელოვნების ეს დარგი რაღაც ეშმაკეული იყოს, მაშინ როცა არც ფართო საზოგადოებისთვის, არც თვით „მოშურნეთათვის" არ არის ცნობილი ტრაგედია „ვნებული ქრისტე", რომელსაც ძველი ტრადიცია წმ. გრიგოლ ნაზიანზელს მიაწერს, არც ეგნატე დიაკონის VIII საუკუნის დროინდელი ფარსი „ქმედება ადამისა", არც სხვა დრამატული ნაწარმოებები ბიზანტიელ ქრისტიანთა, უფრო მეტიც, სამღვდელო პირთა მიერ შექმნილი?

როდემდე უნდა იყოს მიჩნეული ჭეშმარიტად ქრისტიანული კულტურისა და გემოვნების დამკვიდრებად წარამარა მასხრად აგდება მიქელანჯელოსი და რაფაელისა, თითქოს მთელი რუსული სასულიერო მხატვრობა სიმონ უშაკოვიდან ვასნეცოვამდე და ნესტეროვამდე იტალიური რენესანსის ცუდი მიბაძვა არ იყოს, ადგილობრივი კოლორიტით სუსტად შენიღბული?

როდემდე უნდა ველოლიავებოდეთ მრევლის უმეცრებას, მშვიდად ვიტანდეთ საკუთარ უწიგნურობას და ყოველივე ამის შემდეგ გვიკვირდეს, რატომ მომძლავრდა საქართველოში სექტანტობა?

ნუთუ ამას ელის ჩვენგან ერი? — არა! არამედ ერში დღითიდღე იზრდება იმედგაცრუება, რადგან, საუბედუროდ, აღმოჩნდა, რომ ჩვენს ურწმუნოებით გადაღლილსა და ხულიერი ტერორით ილაჯგაწყვეტილ ერს ზოგ ღვთისმსახურზე უკეთ აქვს შეგნებული ანტონ კათალიკოსის ზემოთმოყვანილი აზრი. მაგრამ როდემდე ვერ უნდა გაიგონ მავანთა და მავანთა, რომ ვერც ერთი ნამდვილი ქართველი ვერ შეისისხლხორცებს შავრაზმულ ჭორებს იუდეო-მასონთა მსოფლიო შეთქმულების შესახებ?

თუკი მაინც არსებობს დასავლეთის დამღუპველი გავლენა, მის წინააღმდეგ ერთადერთი ქმედითი ხერხი შემეცნებაა, წიგნიერი სინათლეა, ყოველმხრივი შესწავლაა დასავლური რელიგიური მსოფლმხედველობისა და ამ შესწავლის საფუძველზე დამყარებული სულიერი ძალღება. განა სწორედ ასეთი გზა არ გვიანდერძეს წმ. მამებმა, მსოფლიო ეკლესიის უდიდესმა მოძღვრებმა? განა ერესთან და წვალებასთან მათი ბრძოლა სწორედ ასეთი გულწრფელი და განათლებული, განსწავლული და გონიერი მიდგომის მაგალითი არ არის?

მართლმადიდებელმა საქართველომ გაბედულად უნდა გაუწოდოს ხელი მთელს საქრისტიანოს, რადგან მხოლოდ ამის შედეგად გახდება შესაძლებელი იფქლისა და ღვარძლის ჭეშმარიტი გარჩევა. ჩვენი სასულიერო სასწავლებლები მკაცრი მეცნიერულობის უმაღლეს თანამედროვე დონეზე აღჭურვილ ცენტრებად უნდა იქცნენ, რადგან სწორედ იმიტომ, რომ სოფელი წარმავალია, ქრისტიანთა სულები მაცხოვრის მეორედ მოსვლას უმოქმედობითა და უვიცობით დახავსებულნი არ უნდა მიეგებონ. ქართული ეკლესიის სიძლიერე ტაძართა რაოდენობითა და სამღვდელო დასის მრავალრიცხოვნებით კი არ უნდა გამოიხატებოდეს, რადგან ღმრთის თვალში ნებისმიერი რაოდენობა ფუჭია, არამედ მოძღვართა ზნეობრივი და ინტელექტუალური სიმაღლით.

ამ გზაზე ბევრი უცხოური მონაპოვარი შეგვხვდება. მათი გამოყენებისა არ უნდა შეგვეშინდეს — ბოლოსდაბოლოს ხომ ვსარგებლობთ წმიდა წერილის თავებად და მუხლებად დაყოფით, დასავლეთში რომ იქნა შემოღებული. ჩვენს წინ დიადი მიზანია, თითქმის ხელახლაა ასაშენებელი ჟამთა სიავით გაპარტახებამდე მიყვანილი ეკლესია, გასაწმენდია „საძაგელი იგი მოოხრებისაჲ", ჩვენს თვალწინ რომ გადაშლილა. აქ კი რუსი ღვთისმეტყველის კარსავინის სიტყვები უნდა მოვიგონოთ: „ქრისტიანულ ტაძარს სიწმიდე არ აკლდება, თუ მის აშენებაში წარმართი ქვისმთლელები მონაწილეობდნენ".

საყოველთაო მიზნის მნიშვნელობა არ უნდა შეეწიროს ჩვენს პირად შიშებსა და ეჭვებს. სულიერი სიმხდალე და შეზღუდულობა საერთოდ არ შეჰფერის ქრისტიანს: „უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა — რისი მეშინოდეს!"

**ალექსანდრე შალამბერიძე**

# წერილები რედაქციას

**საქართველოს** შორეულმა თუ უახლესმა წარსულმა პოლიტიკური უზნეობის მრავალი მაგალითი იცის. უზნეობიდან დანაშაულამდე ერთი ნაბიჯია. მწარე გაკვეთილად დიდი ილია ჭავჭავაძის მაგალითიც კმარა. წიწამურში ნასროლმა ტყვიამ სულ მცირე, ერთი საუკუნით მაინც დაგვაშორა ნანატრ თავისუფლებას.

ახლა იგივეს გვიქადის რუსთაველზე გასროლილი ტყვიებიც, რადგან, იგი ქართულ ეროვნულ მოძრაობას ესროლეს უპირველეს ყოვლისა.

რა მნიშვნელობა აქვს ბატონი ზვიად გამსახურდია სროლის ინციდენტამდე გავიდა ფორუმიდან თუ მას შემდეგ? მანამდე გასულს ხომ წინასწარმეტყველურად განუჭვრეტია მოვლენების მოსალოდნელი განვითარება.

ბელადების მომხრენი არც ჩვენა ვართ, მაგრამ ავტორიტეტები, რომლებშიც განსხეულებული იქნება ქართველი ერის ზნეობრივი იდეალები, ნამდვილად გვჭირდება.

ასეთებად გვესახებოდნენ ბატონი მერაბი და ბატონი ზვიადი. მერაბს ველარ გავუფრთხილდით და გავწირეთ; ახლა ზვიადის გარშემო შექმნილი აუტანელი ფსიქოლოგიური ატმოსფერო გვაშფოთებს. როგორ წარმოვიდგენდით, რომ ეროვნული მოძრაობის ყრილობა მისი სულისჩამდგმელების გარეშე ჩატარდებოდა?! თურმე, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

თითქოს ძველი სცენარი გათამაშდა მთავარი როლების ახალი შემსრულებლებით; მხოლოდ ყველა დროსა და მთავრობას მორგებული ენაბრგვილი თუ ენაგალესილი მედროვენი დარჩნენ უცვლელად. ვინც სცენაზე ვერ გამოვიდა, კულისებში ილვწა ბატონ ზვიად გამსახურდიას ეროვნული მოძრაობიდან ჩამოსაშორებლად.

ხალხი პირუთვნელი მსაჯულია; იგი თვითონ გააკეთებს სწორ არჩევანს; ამის თავდებია ის მქუხარე ოვაციები, რომლითაც ხვდებიან ბატონ ზვიად გამსახურდიას გამოჩენას ხალხმრავალ მიტინგებზე. ასეთი სიყვარული თავისით არ მოდის. ბატონ ზვიადს ღმერთმა და ბუნებამ ყველაფერი მომადლა იმისათვის, რომ ერის რჩეული გამხდარიყო. იმედი გვაქვს, მისი სულიერი სიმტკიცის და გაუტეხლობის. გვინდა იცოდეს, რომ ამ ძნელი გამოცდის ჟამს მასთანაა ყველა, ვისაც მისებრ ცხოვრების მრწამსად გაუხდია გენიალური ვაჟას სიტყვები: „რაც უნდა ჭირი მამკრძონ, ბილწთ არ შავეკვრი ზავითა".

**კინოსტუდია „ქართული ფილმის" თანამშრომლები**

**128 ხელმოწერა.**

●

**„საქართველოს"** 14 მაისის ნომერში დაიბეჭდა გია თასოევის „წერილი რედაქციას"; „დროა დავარისხოთ ზარები". მართლაც, დროა დავარისხოთ ზარები ყველგან, ასევე სამაჩაბლოში, სადაც წმინდა ეკლესიებს გვიფეთქებენ და დამსჯელ-გამკითხავი არავინაა.

ჟურნალისტ თასოევის წერილი ძალზე მტკივნეულ და მოსაგვარებელ საგანს ეხება. მოსწავლე პაკელიანმა მძიმედ დაჭრა თანაკლასელი, და მძიმე სასჯელიც დაიმსახურა. მაგრამ მორალისტს თვითონაც ეშლება ცოტა, დაუკრეფავში გადადის და ეხება ისეთ რამეს, რასაც არ უნდა შეხებოდა. აქცენტი გადააქვს დამნაშავე ყმაწვილის ბიძაზე, „ცნობილ პუბლიცისტ" გელოვანზე, რომლის წიგნებიც თურმე „მკითხველთა სიმპათიით სარგებლობენ", წიგნები ხელოვნებაზე, ძეგლების დაცვაზე და ა. შ. ამიტომ მას ყურადღება უნდა მიექცია დისშვილისათვის და დანაშაულიც არ მოხდებოდაო. სასურველია, მაგრამ საოცარია! ასე ყოველი ქართველიც საკიცხავი ვართ ასობით მძიმე დანაშაულისათვის, რასაც ცალკეული თანამემამულე მოზარდები სამწუხაროდ ყოველდღე სჩადიან.

სამი წელი იქნება, რაც პაკელიანი საერთოდ არ მინახავს, რადგან დასთან მისვლის დრო და საბაბი არ მქონია, თვითონ ბიჭი კი ჩემთან ერთხელაც არ მოსულა, რადგან ძალზე მორიდებული იყო, „ბიძიას რაზე მოვაცდენო", ამბობდა თურმე. იქნებ ორივე ვცდებოდით, მაგრამ ჩვენ ყველა გააოცა ამ ცხვარივით სათნო და უთქმელი ბიჭის მიერ მძიმე დანაშაულის ჩადენამ. რაც შეეხება მის „პარპაშს", ეს ნამდვილად თასოევის შეთხზული მითი გახლავთ. მიზეზიც გაირკვა: წლების მანძილზე ჩაგრავდა თურმე დაზარალებული ნიკვაშვილი (მასთან მისი ძმაბიჭებიც). გამოძალვა, მუქარა, დევნა, ლანძღვა, დამცირება ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა, ამის შესახებ კი პაკელიანის დედმამამაც არაფერი იცოდნენ.

აქედან მოდის წერილის ავტორის პირველი სიცრუე: ბიჭებმა ერთხელ წაიკინკლავეს და პაკელიანმა შური იძიაო. ასე არ იყო.

მეორე სიცრუე: თითქოს პაკელიანს ვიღაცა ზურგს უმაგრებდა და ამის იმედით ჩაიდინაო დანაშაული. ეს აბსურდია! ჩანს, ჩემი „ზურგი" ჰქონია, რადგან სხვა „გავლენიანი" მას არავინ ჰყოლია, მაგრამ ყოველი მკითხველი დამეთანხმება, რომ მე მთელი ცხოვრებით, მაგალითად თუ ნაწერებით სიკეთის მეტი არავისთვის არაფერი მისწავლებია, ჩემი „ზურგი" დამნაშავეს არ უნდა ჰქონდეს, ღვიძლი შვილიც რომ იყოს.

სხვათა შორის, აქ თასოევს შეეძლო ჩემს წინააღმდეგ უკეთესი საბუთის დამოწმებაც: მე მაქვს ორი წიგნი ქცევის კულტურაზე, და იქ ბევრი საგულისხმო რამ წერია არა მარტო ურიგო მსროლელთათვის, არამედ ურიგო კალმოსნების მისამართითაც. მას შეეძლო ეკითხა: როგორ შეიძლება ჰუმანური კაცის დისწული დამნაშავე გამოსულიყოო! სამწუხაროდ, ხდება! ქრისტეც დიდი ჰუმანისტი იყო, მაგრამ მისი ერთ-ერთი მოწაფე იუდა გამოდგა. ადამიანი რთული ფენომენია, ყოველი ძე კაცისა ორიგინალურია თავისი ქცევით, აზრთა მსვლელობით და ბედით. განა ხეთაგუროვი, თასოევი და ჩოჩიევი ერთია?

მესამე სიცრუე განაჩენს ეხება: თითქოს: გელოვანს განცხადებით მიუმართოს იუსტიციის მინისტრისათვის და დაეწეროს: განაჩენი მკაცრიაო! მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ტლანქი, ბოროტი ცილისწამებაა. მითქვამს და ვამბობ: ექვსი წელი პაკელიანისთვის ნორმალურად, სწორ განაჩენად მიმაჩნია (მიუხედავად იმისა, რომ ღრმად დარწმუნებული ვარ, მკვლელობა და დასახიჩრება არ ჰქონია განზრახული, მხოლოდ მოიერიშისაგან თავდასაცავად და შესაშინებლად უსვრია, თანაც წლობით უხეში დამცირებით შევიწროებული ბიჭი, რომელსაც მძიმე მენინგიტი აქვს გადატანილი, მოთმინებიდან გამოიყვანეს) წყალობად მიმაჩნია, რადგან ფაქტია დანაშაული, დაზარალებულის ტანჯვა ყველა შეღავათს აბათილებს. მშობლებთან მისასვლელადაც დროს გამოვნახავდი, მაგრამ მათი გულის ტკენას მოვერიდე. თასოევს აქაც ეშლება.

წერილი დაწერილია უაღრესად ტენდენციურად, ცალმხრივად, აშკარად მისი წაქეზებით, ვინც ნიკვაშვილების ახლო მეგობარია. მე ღრმად შეურაცხყოფილი ვარ ჩემი უალაგოდ ხსენებითა და ბრალდებით. ეს პირად ანგარიშსწორებას ჰგავს. გამოვიდეს ვინმე იურისტი და თქვას, რომ მე განაჩენის შერბილება ვითხოვე, არა და მე ვითხოვ ცილისმწამებლის მკაცრად გაკითხვას.

გადაჭრით ვაცხადებ: შორს ვარ ყოველგვარი ჩარევისა და სასჯელის შერბილების ცდისაგან, არც ერთი წუთით არ დავსწრებივარ პროცესს (სადაც აგრესიულად განწყობილმა რომელიღაც დედაკაცმა თავს ნება მისცა ხელითაც შეხებოდა სრულიად უდანაშაულო ქალიშვილს, ლაბორანტს: პაკელიანის ნათესავი რატომ ხარო(!) საერთოდ, შორს ვარ ამ საქმისაგან, არ შემეფერება უტაქტო შენიშვნები, რომელთა დაწერის ნებაც ეგზომ ავტორიტეტულ ეროვნულ გაზეთში თავს ნება მისცა თასოევმა, და ვაპროტესტებ მთელს ამ ბრიყვულ გამოხდომას „პუბლიცისტის" წინააღმდეგ, რომელსაც საქმესთან ნათესაობის გარდა, არაფერი საერთო არა აქვს. საერთოდ კი, ყველამ უნდა ვიბრძოლოთ, რომ მსგავსი დანაშაული არ ამძიმებდეს ჩვენი ერის წმინდა დროშას, ეს მართალია, საკმარისია ისიც, რომ შენიღბული ძალები ყოველ ღონეს ხმარობენ ჩვენს წინააღმდეგ, და მათს დამქაშებს უნდა შევახსენოთ ბიბლიური სიბრძნე: „ვაი მწერალთა უკეთურებისათა, რამეთუ უკეთურებასა სწერენ!"

**აკაკი გელოვანი.**

ისტორიული სინამდვილე

# შიდა ქართლის ტრაგედია 20-30-იან წლებში

## ასე იქმნებოდა ოსური უმრავლესობა სამაჩაბლოში, ყოფილ ქსნის საერისთაოსა და არაგვის საერისთაოს დასავლეთში

**ტექნიკა, დემოგრაფია, გეოპოლიტიკა — რომელი რომელს უსწრებს? მარქსისტული შეხედულების თანახმად, ომში გამარჯვებას ჯერ ეკონომიკა განსაზღვრავს, შემდეგ კი — ისეთი შემთხვევითი ფაქტორები, როგორიცაა ამა თუ იმ მხარის შეიარაღება აქ და დღეს. წინამდებარე პუბლიკაცია გვიჩვენებს, რომ გეოპოლიტიკურსა და დემოგრაფიულ ვითარებას, თურმე, შეიძლება იარაღი განსაზღვრავდეს, მესამე ძალის მიერ ხათანადო დროს მიწოდებული. საქართველოში იარაღის სიყვარული არასოდეს განელებულა. მაგრამ სხვაა იარაღი საერთოდ (თუნდ დამბაჩა და ფილთა თოფი) და სხვა მოცემული ეპოქისთვის თანამედროვე იარაღი. ვინ გზავნიდა საქართველოში იმ ეპოქისათვის თანამედროვე შაშხანებს და რა მიზნით, ამას მკითხველი თვითონ მიხვდება.**

**მიხვდება იმასაც, როგორი უნდა იყოს (და არის კიდეც) ამ აქციის დღევანდელი გაგრძელება: ესაა იმავე რეგიონში იმავე მიზნით ათასობით ლულა თანამედროვე იარაღის შეტანა (ნ. ნათაძე).**

**დაბადებული** ვარ 1905 წელს. ჩვენ მამა-პაპიდან ცხინვალის მკვიდრი მოსახლეები ვართ. 1922 წელს სამხრეთ ოსეთი რომ დაარქვეს შიდა ქართლს, მაშინ ცხინვალში სამი-ოთხი ოსის ოჯახი ცხოვრობდა. როდესაც შიდა ქართლის სახელწოდება წაიშალა და ქართველი ბოლშევიკების მაშინდელი მეთაურის, სერგო ორჯონიკიძის ნება-სურვილით მას ოსეთი დაერქვა — მოზღვავდა ოსური შეუბრალებელი შოვინიზმი, რომელიც უბედურებად დაატყდა თავს უკვე ყოფილი შიდა ქართლის ქართულ მოსახლეობას. მანამდე ოსები ძირითადად ჯავის რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში ცხოვრობდნენ. როდესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გამოცხადდა, ოსები იმდენად გათავხედდნენ, რომ ღამ-ღამობით დაიწყეს თავდასხმა ქართულ სოფლებზე, ძლეტდნენ და აწიოკებდნენ ქართველებს. მათი თავხედობა იქამდე მივიდა, რომ ღამ-ღამობით ცხინვალზეც დაიწყეს თავდასხმა და ქართველების ამოხოცვა. მთავარი უბედურება ის იყო, რომ ოსებს გააჩნდათ იარაღი (ძირითადად შაშხანები, აგრეთვე სხვადასხვა სისტემის პისტოლეტები). ასე შეძლეს ოსებმა ქართული მოსახლეობის დაშინება — ქართველები დედიან-ბუდიანად იყრებოდნენ მამა პაპური ადგილებიდან და გარბოდნენ შუა ქართლის რაიონებში. ასე მოახერხეს ოსებმა ყოფილ შიდა ქართლში მთელი რიგი აყვავებული ქართული სოფლების ქართველებისაგან დაცლა, სადაც ქართველთა ნაფუძარზე ხდებოდა ოსების სასწრაფო დასახლება ჩრდილოეთ ოსეთიდან.

განსაკუთრებით გულსაკლავია ძირძველი ქართული სოფლის, თიღვის, ტრაგიკული ბედი. სოფელი თიღვა უძველესი, აყვავებული, მრავალკომლიანი ქართული სოფელი იყო, ჯერ კიდევ თამარ მეფის დროინდელი. ამჟამად კი ამ სოფელში არც ერთი ქართველი აღარ ცხოვრობს. ამ სოფლის ქართულ წარსულს მხოლოდ თამარ მეფის დროს აგებული დიდებული ქართული ტაძარი ადასტურებს.

მე დაბადებული ვარ ცხინვალში 1905 წელს. ვფიქრობ, არ იქნება ინტერესმოკლებული ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ გაჩნდნენ ჯაფარიძეები ცხინვალში. საქმე შემდეგშია: ივანე მაჩაბლის ბაბუას რაჭაში ყოფნის დროს გაუცვნია ჯაფარიძის ქალი, რომელიც მოსწონებია და შეურთავს. რაჭიდან ჩამოსულ მაყრებს შორის ყოფილან პატარძლის ოთხივე ძმა, რომლებსაც ძალიან მოსწონებიათ ისტორიული სამაჩაბლო, რის შესახებაც პირდაპირ უთქვამთ თავისი სიძისათვის, რომელსაც ეს მეტად გახარებია და ოთხივესათვის უბოძებია მამულები.

ქართული ცხინვალი (მისი ოსებისაგან მიტაცებამდე) გაშლილი დიდი დაბა იყო. იგი იყოფოდა ცალკე უბნებად. ის უბანი, სადაც მე დავიბადე, ცნობილი იყო დგვრისის სახელით. გარდა ჯაფარიძეებისა იქ ცხოვრობდნენ დავითაშვილები, მაისურაძეები, პაპაშვილები, კასრაძეები, შერაზადიშვილები, აბულაძეები, ივანიძეები, შარაშიძეები, კვალინიძეები, ნამშურიძეები, ჭოველიძეები, ბადიკაძეები, ხერხეულიძეები, სალამაძეები, არეშიძეები, ბურნაძეები და სხვები.

გარდა დგვრისისა, ქართულ ცხინვალს გააჩნდა კიდევ სხვა უბნებიც — კერძოდ: კასრაანთ უბანი, ცერაანთ უბანი (უმეტესად ცერაძეები ცხოვრობდნენ და იმიტომ) და თამარაშენი (თამარაშენი, როგორც ცნობილია, ივანე მაჩაბლის სოფელია და იგი სამაჩაბლოს ცენტრად ითვლებოდა). თამარაშენი ფაქტიურად დგვრისის გაგრძელება იყო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ცხინვალის ებრაელთა უბანი, რომელიც ბაზართანაა ახლოს. ებრაელების მოსვლა და დასახლება ცხინვალში ადგილობრივ ქართულ მოსახლეობაში დაცული გადმოცემის თანახმად უხსოვარ დროში მომხდარა (მახსოვს, რომ ებრაელის ცხინვალში დასახლებას ბევრი დავით აღმაშენებლის ეპოქას უკავშირებდა).

ჩემი ოჯახი მრავალშვილიანი ქართული ოჯახი იყო. დედაჩემი ვარა ცხინვალელი კასრაძის ქალი გახლდათ. ჩემს გარდა მას ჰყავდა რვა ქალიშვილი და ერთიც ვაჟიშვილი ვანცა. ამათგან დღეისათვის ცოცხლები ვართ მე და ჩემი უმცროსი და თამარი (პედაგოგი). მამაჩემი, დიმიტრი ჯაფარიძე, ცხინვალელ ქართველობაში დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა. იგი დაიღუპა ცხინვალელ ქართველებზე შეიარაღებული ოსების ერთ-ერთი მორიგი თავდასხმის დროს (საერთოდ, შეიარაღებული ოსი ბანდიტები მძინარე ქართველებს ყოველთვის ნაშუალამევს ესხმოდნენ ხოლმე). ძმა ვანცა 1924 წლის აჯანყების დროს სხვა ბევრ ქართველ ახალგაზრდასთან ერთად დააპატიმრეს და იგი ცხინვალის ჩექას შეეწირა.

საერთოდ, 1924 წლის აჯანყებით კარგად ისარგებლეს ოსებმა და ბევრ ქართველს მოუღეს ბოლო (სხვათა შორის, მაშინ დახვრიტეს ოსებმა ივანე მაჩაბლის ერთადერთი ვაჟიშვილიც). მამისეული ბაღ-ვენახი აგვიჩეხეს და სხვა ცხინვალელ მკვიდრთა მსგავსად გვაიძულეს, დაგვეტოვებინა ჩვენი სახლ-კარი.

მე აღვწერე შიდა ქართლის მდგომარეობა გასაბჭოების შემდგომ პერიოდში, მაგრამ ოსი ექსტრემისტების შემოტევა შიდა ქართლის ქართულ მოსახლეობაზე დაიწყო ბევრად ადრე, 1918-1919 წლებში. ისინი მაშინაც ღამ-ღამობით ესხმოდნენ ხოლმე თავს მძინარე ქართველებს და დაუნდობლად ხოცავდნენ მათ. ჩემი მშობლებიდან და ახლობლებიდან გამიგია, რომ უმთავრესად ოსი ბანდიტების ეს რაზმები გადმოდიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან (დღევანდელი ჩრდილოეთ ოსეთიდან). მე გამიგია აგრეთვე, რომ ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსულმა ბანდიტებმა შეძლეს აეყოლიებინათ ჯავაში მცხოვრები ოსთა ნაწილიც. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ჟორდანიას მთავრობამ შესძლო ამ შემოტევათა მოგერიება. ისე, რომ 1920 წლის დამდეგიდან შიდა ქართლში შედარებით სიწყნარე იყო.

მხოლოდ 1922 წლიდან, შიდა ქართლის სამხრეთ ოსეთად გამოცხადების შემდეგ, კვლავ წამოყვეს თავი ოსმა ექსტრემისტებმა.

**ელენე ჯაფარიძე**

25. VI. 1989 წ.

### ელენე ჯაფარიძისა და მისი სტატიის შესახებ

ელენე დიმიტრის ასული ჯაფარიძე ქართული ინტელიგენციისათვის უცნობი პიროვნება არ არის. ზოგიერთ ცნობას თავის შესახებ, როგორც დავინახეთ, იგი წარმოდგენილ საკუთარ სტატიაში იძლევა. მხოლოდ დამატებითი ცნობებით შემოვიფარგლები. ელენე ჯაფარიძეს ქალიშვილობის დროს დამთავრებული ჰქონდა ქალთა გიმნაზია, რის შემდეგაც მალე გათხოვდა და ოჯახს მოკიდებულს უმაღლესი განათლება ვერ მიუღია. იგი მეტად ნაკითხი და განვითარებული პიროვნება იყო. უკანასკნელ მომენტამდე, მიუხედავად ავადმყოფობისა, შეუნელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებას. რაც მთავარია, ელენე ჯაფარიძე იყო ძალზე ნიჭიერი თვითნასწავლი მხატვარი, რომელიც აპლიკაციების მეთოდით ქმნიდა შესანიშნავ პორტრეტულ ქმნილებებს. კერძოდ, მის მიერ შექმნილია ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ივანე ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, გოგლა ლეონიძის და სხვათა შესანიშნავი პორტრეტები.

ჩვენი საზოგადოება მოწმეა ელენე ჯაფარიძის ბევრი პერსონალური გამოფენის, რომელთა შესახებ, როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში, ყოველთვის აღტაცებული რეცენზიები ქვეყნდებოდა.

ელენე ჯაფარიძეს და მის მეუღლეს იოსებ შახნაზაროვს დიდი მეგობრობა აკავშირებდა ჩემს მშობლებთან. იოსებ შახნაზაროვის დედა, ეკატერინე იაშვილი, გორის მკვიდრი იყო და მან თავისი შვილები — იოსები და ნიკოლოზი (კოლა) — ნამდვილ ქართველ პატრიოტებად აღზარდა.

ნიკოლოზი რეპრესირებული იყო 1937 წელს. მისი უმცროსი ძმა იოსები (ელენე ჯაფარიძის მეუღლე) იყო კარგი სპეციალისტი (პოლიგრაფიის დარგში). სხვათა შორის, ცხინვალში პირველი სტამბის გახსნა მისი დამსახურება იყო.

ბავშვობისას, როდესაც ქართული მოსახლეობის დევნა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, კარგად მახსოვს ჩვენს ოჯახში სტუმრობის დროს ბატონი იოსები და ქ-ნი ელენე როგორ უამბობდნენ ჩემს მშობლებს იმ უსამართლობაზე, რაც მაშინ „სამხრეთ ოსეთში" ხდებოდა. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც რესპუბლიკაში საყოველთაო კოლექტივიზაციისა და განკულაკების ღონისძიებები ტარდებოდა, ე. წ. „სამხრეთ ოსეთში" ამ დროს ხდებოდა ქართველი გლეხების, განსაკუთრებით მოსავლიან და აყვავებულ სოფლებიდან პირწმინდად განკულაკება და მათ ადგილას ოსების დასახლება. მოგვიანებით, უკვე მოწიფულ ასაკში, ე. წ. „სამხრეთ ოსეთის" ქართული მოსახლეობის ტრაგიკული მდგომარეობის შესახებ მე ბევრი მსმენია აგრეთვე ვეტერანი ბოლშევიკის დავით ლომაძისაგან. დავით ლომაძე მეტად საინტერესო პიროვნება იყო. იგი ჭიათურაში იზრდებოდა ბაბუაჩემის ნიკო ხვედელიძის ოჯახში. მისი მამა ვლადიმერ ლომაძე ჭიათურის ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო. აქტიური რევოლუციონერი ახლოს იცნობდა იოსებ სტალინს და ოხრანკის მოსყიდულმა აგენტებმა მოკლეს 1913 წელს. დავით ლომაძეს დამთავრებული ჰქონდა ვენის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიულ თანამდებობებზე. იყო დიპლომატი, იყო სპეცპროკურორიც. ასე რომ, კარგად იცნობდა ჩვენს რესპუბლიკაში მომხდარ ამბებს და პოლიტიკურ ძვრებს. მისი ნაამბობი „სამხრეთ ოსეთში" ქართული მოსახლეობის შესახებ, სავსებით ადასტურებდა ელენე ჯაფარიძის წარმოდგენილ სტატიაში აღწერილ ვითარებას. დავით ლომაძესთან ხშირად ვყოფილვარ ოჯახში და მას ჩემთვის არაერთხელ უჩვენებია მოგონებები, რომელსაც ის წერდა. ამ მოგონებებში, საბჭოთა საქართველოში მომხდარი ბევრი ისტორიული ფაქტია აღწერილი (მათ შორის 1924 წ. აჯანყებაც), რომელთა თვითმხილველი და მოწმე იყო. კარგი იქნება, თუ ამ მოგონებებს უპატრონებს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი. დავით ლომაძე პირადად იცნობდა ლენინს, სტალინს, ტროცკის, ბუხარინს, ზინოვიევს, კამენევს, ტელმანს, კაუცკის, ვანდერველდეს და სხვებს. იყო პარტიის წევრი 1914 წლიდან. უკანასკნელად მუშაობდა საქართველოს სსრ სიძველეთა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ. დავით ლომაძე იმედოვნებდა, რომ დადგებაო დრო, სპეციალური საგამომძიებლო კომისიისა, რომელიც ობიექტურად გამოარკვევს ყოფილ შიდა ქართლის მკვიდრი ქართული მოსახლეობის ტრაგედიას და ისტორიულ სიმართლეს იტყვისო ოსეთის ე. წ. აჯანყებაზე 1918-1919 წ.წ. ინტერესს მოკლებული არ იქნება აგრეთვე აქვე მოვიყვანოთ დავით ლომაძის აზრი შიდა ქართლის ტერიტორიაზე სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით შექმნილი ავტონომიის შესახებ: ამ ავტონომიისთვის, რადგან იგი იქმნებოდა უძველეს ქართულ მიწა-წყალზე და ამავე დროს 1922 წლისათვის იქ უმრავლესობას ქართული მოსახლეობა წარმოადგენდა, ლოგიკური იქნებოდა დაერქვათ ქსნის ავტონომიური ოლქი, რადგან ქსნის ყოფილი საერისთაო იქ მთლიანად შევიდაო, — ამბობდა იგი.

კარგი იქნება, თუ ქ-ნ ელენეს მხატვრული მემკვიდრეობით დაინტერესდება ჩვენი კულტურის სამინისტრო. ელენე ჯაფარიძის ქალიშვილებმა მედიკომ და ლამარამ მათს პატარა ბინაში მაქსიმალურად გამოფინეს დედის ნამუშევრები, მაგრამ უადგილობის გამო ბევრი ნაწარმოები სამწუხაროდ სარდაფში აქვთ შენახული.

და ბოლოს, საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: ელენე ჯაფარიძემ თავის სტატიაში ახსენა, რომ 1922 წლისათვის (ე. ი. „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის მომენტისათვის) ცხინვალში სამიოდე ოსის ოჯახი ცხოვრობდაო. ჩვენ დავინტერესდით, თუ ვინ იყვნენ ეს ოსის ოჯახები. ელენე ჯაფარიძის დამ თამარმა ჩამოგვითვალა ეს ოთხი ოსის ოჯახი: თომაევის, ფარასტაევისა და ქუმარიტოვის ოჯახები. ხოლო მეოთხე ოჯახის მეთაურის გვარი არავინ იცოდა და მას უბრალოდ გრიგოლა ოსს ეძახდნენო.

**გოლა ხვედელიძე,**

**თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, სსრკ ჟურნალისტთა კავშირის წევრი.**

## სიტყვა—ყველას

### არსებული ვითარებისა და ზოგიერთი პერსპექტივის შესახებ

გადავხედოთ მოკლედ, რა მოუტანა საქართველოს საბჭოთა წყობილებამ. მაღაზიებში არაფერი იყიდება შხამის გარდა, ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ საქართველოს რიგითი მოქალაქე მარტო მწვანილით რომ იკვებოს, 15 კილოზე მეტს ვერ შეიძენს თვეში. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა არ აღემატება 50 წელიწადს, რაც 5 მილიონ ადამიანზე გაანგარიშებული ამტკიცებს, რომ საქართველოში წელიწადში შხამისა და პირდაპირი ძალადობისაგან იღუპება 40 ათასი კაცი. ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში არის 500000 გაუთხოვარი ქალი და უცოლო მამაკაცი რეპროდუქციულ ასაკში.

ეს ყველაფერი ხდება ქვეყანაში, რომლის ეროვნული შემოსავალი მინიმალური გაანგარიშებით შეადგენს 30 მილიარდს და რომლის ისტორიულ ტრადიციაში ხუთ და მეტშვილიანი ოჯახია.

აღწერილი ვითარება თავისთავად სამწუხაროა, მაგრამ მით უფრო საგანგაშოა, რომ მთელი მსოფლიო მყარად დაადგა პოლიტიკური და ტექნიკური პროგრესის გზას და რომ ეგრეთწოდებული საბჭოთა კავშირი არის ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელიც შიმშილობს.

ისმის კითხვა, როგორ მოახერხა ადმინისტრაციამ ამხელა ქვეყნის თვითლიკვიდაციამდე მიყვანა. აქ უნდა გავიხსენოთ კომუნისტების საქმიანობა, რომელიც შედგებოდა ორი ასპექტისაგან 1. დეკლარირება ყველაფერი პროგრესულის და კეთილის; 2. ჩადენა ყოველგვარი სიბინძურის და იდიოტიზმის, რომლის მოფიქრებაც შეიძლება.

რა პოლიტიკური ვითარებაა დღეს? სსრკ კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც პასუხს აგებს ყველაფერზე რაც ხდებოდა და ხდება საბჭოთა კავშირში, თავისი როლი გაუქმებულად გამოაცხადა. საქართველოს უზენაესმა საბჭომ დენონსირება გაუკეთა ხელშეკრულებას, რომელიც ერთადერთი ფორმალური საფუძველი იყო საქართველოში კოლონიური ვითარებისა. დარჩა კომუნისტური რეჟიმის რეპრესიული აპარატი, რომელსაც აქვს სტატუსი, მიზნები და მეთოდები უბინძურესი მაფიის.

როგორია პერსპექტივა? საბჭოთა კავშირში არ არის რეგიონი, რომელშიც ამა თუ იმ სიმძაფრით არ იყოს სამოქალაქო ომის ვითარება. ეს პროცესი გამძაფრდება და მოსალოდნელია, რომ გადაიზარდოს დიდ ომში.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ უზენაესი საბჭოსაგან, გაითვალისწინოს ისტორიული და იურიდიული პასუხისმგებლობა და მიიღოს კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ: 1. აიკრძალოს საქართველოს ტერიტორიაზე ყოველგვარი სამხედრო მოქმედება. 2. აიკრძალოს საქართველოს ტერიტორიაზე შინაგანი ჯარების მოქმედება. 3. აიკრძალოს საქართველოს ტერიტორიაზე არაქართული სპეცსამსახურების მოქმედება. 4. ქართველებს აეკრძალოთ არაქართულ საჯარისო ფორმირებებში სამსახური. 5. ყველა ქართველი, რომელიც ამჟამად მსახურობს საბჭოთა ჯარში, თავმოყრილი იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე.

ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ყველა მოქალაქეს, ყველა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას, აქტიურად, კატეგორიული ფორმით შეუერთდნენ ჩვენს მოთხოვნებს. ჩვენ მოვუწოდებთ კომუნისტურ პარტიას და მის ყველა წევრს, მოთხოვონ საქართველოს კომუნისტურ პარტიას დამოუკიდებლობა. მოთხოვონ, დაწესდეს სრული კონტროლი სუკ-ის საქმიანობაზე საქართველოს ტერიტორიაზე.

**გია ნათაძე**

საქართველოს მეფეები

# მირიან II

„ქართლის ცხოვრების“ თანახმად ფარნავაზიანთა დინასტიის მე-4 მეფის, ფარნაჯომის დაღუპვის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე ავიდა სომხეთის მეფის ძე არშაკი (არშაკი II ს. მეორე ნახევარი ქრისტეს დაბადებამდე).

. ცნობა არშაკის წარმომავლობისა და არშაკიანთა ქართლში მეფობის შესახებ მეცნიერების ეჭვს იწვევს, რადგან თვით სომხეთში არშაკუნიანები ორი საუკუნის შემდეგ გამეფდნენ. ასეა თუ ისე, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ქართლის მე-5 მეფეა არშაკი („... უმატა ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა და უმეტეს მომტკიცნა ზღუდენი ჯავახეთის, ქალაქსა წუნდას.“).

ქართლის მე-6 მეფე იყო არტაგი, ძე არშაკისა. რომელმაც მხოლოდ 2 წელი იმეფა. მის დროს ქართლს სპარსელთა ლაშქარი შემოესია, „მოვიდეს ერისთავნი სპარსთანი სპითა დიდითა ძიებად სისხლისა ფარნაჯომისა და სპათა მათ სპარსთა...“ არტაგმა ვერ გაუწია წინააღმდეგობა სპარსელებს, ქართლი მოოხრებულ იქნა.

არტაგის გარდაცვალების შემდეგ ქართლის მეფე გახდა მისი ძე ბარტომი. მაგრამ ამ დროისათვის სპარსეთში გახიზნული მირიან II დავაჟკაცდა, „აღზარდეს სპარსთა ძე ფარნაჯომისი მირიან... ესე მირიან იყო კაცი ქუელი, მხნე, მხედარი, და მრავალგზის გამოიცადა იგი ბრძოლასა...“

მირიან II დაბრუნდა ქართლში მამისეული ტახტის საძიებლად, ქართლის ერისთავებს მოციქული გაუგზავნა: „...მე ვარ შვილი მამათა თქუენთა ფარნავაზიანთა, დალაცათუ აღზრდილ ვარ სპარსთა თანა, არამედ ვარ მე სჯულსა ზედა მამათა თქუენთასა, და ვესავ მე ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა და სასოებათა მათთა წარმართებულ ვარ ძიებად მამულისა თქუენისა, და აწ ითუალეთ ჩემგან დიდება და კეთილი“.

ერისთავებმა მირიანის ბრძანება არ შეიწყნარეს, მიუხედავად მირიანის აღთქმისა, რომ შურს არ იძიებდა, „არა იძებნების სისხლი სჯულის დატევებისათუის მწიკულთა“, ეახლნენ მეფე ბარტომს. უბრალო ხალხმა მირიანს დაუჭირა მხარი, რადგან „ქართველთა დიდი სათნოობა აქუნდა ფარნავაზიანთა მიმართ“.

გაიმართა ბრძოლა, რომლის ბედი მირიანის მხნეობამ და მამაცობამ გადაწყვიტა. „იწყეს ბრძოლად და გამოჩნდეს ორთავე შორის მუნ ბუმბერაზნი, იყუნეს ყოველთა დღეთა ბუმბერაზთა ბრძოლასა თუესა ერთსა: ოდესმე მათ სძლიან. ხოლო ამას თუესა შინა ერთსა ამან მირიან თავით მოკლა ცამეტი ბუმბერაზი ქართუელთა და სომეხთაგანი, და არავინ გამოჩნდა ქართუელთაგანი და სომეხთაგანი მძლე მირიანისი, და ვერცალად თუით ბარტომ მეფე ებრძოდა მას, რამეთუ არა იყო ბარტომის თანა გოლიათობა“.

ბარტომი მოკლეს. მირიანმა დაიბრუნა დაკარგული ტახტი, გახდა ქართლის მე-8 მეფე (მე-5 ფარნავაზიანთა დინასტიიდან).

მირიანმა შემოირიგა ერისთავები, „მისცა მათ ფიცი და აღთქმა და მოიყუანნა ყოველნი. და მძლავრებითა გამოიყუანა ცოლი ბარტომისი სამშვილდითა და შეირთო ცოლად, რომელი შვილი იყო არბაკუნიანთავე, ჯდა მცხეთას, და ნებიერად მეფობდა მცირედ ჟამ და მოკუდა, და დაჯდა მის წილ ძე მისი არბაკ, დედით არბაკუნიანი და მამით ნებროთიანი და ფარნავაზიანი“.

მოამზადა ირაკლი ლომოურმა

# რედაქტორისაგან

...უველგან და ნამეტნავად ჩვენში“... — წერდა ილია ჭავჭავაძე „ივერიის“ პირველი ნომრის შესავალ წერილში. მართლაც ძნელი საქმეა, მით უფრო, რომ ყველა, ვისაც არ ეზარება, მოვალედ თვლის თავს ცხვირი ჩაყოს გაზეთის საქმეში, მისი გამოშვების პროცესში, შემდეგ კი „პროფესიულად“ იმსჯელოს მის მორიგ ნომერზე. ჩვენ არავის ვასწავლით მძღოლობას, მემანქანეობას, ფიზიკოსობასა თუ მათემატიკოსობას — იმას, რაშიც ჩვენ კომპეტენტურები არა ვართ. უმორჩილესად გთხოვთ, ჩვენც დაგვანებეთ თავი, გვაცალეთ მუშაობა. ვიდრე რედაქციის ახლანდელი შემადგენლობაა, გაზეთის კურსი და პოლიტიკა არ შეიცვლება (გაითვალისწინეთ ხსფ ყრილობაზე რედაქტორის არჩევნების დროს)! კიდევ ერთი: დღეს წარწერა „სახალხო ფრონტი“ მე-8 გვერდიდან საზეიმო ვითარებაში გადაგვაქვს პირველ გვერდზე. თურმე, გაზეთის გარეგნული გაფორმებაც არ ყოფილა რედაქციის შემოქმედებითი კოლექტივის საქმე!... საბჭოთა იმპერია რომ საბჭოთა იმპერიაა, ისიც ცდილობს, კანონში პრესის შესახებ დემოკრატიის ელემენტები შეიტანოს, ჩვენ რა ღმერთი გვიწყრება... წავიდა „ორგანოების“ და სხვადასხვა „კომიტეტების გაზეთების“ დრო, წავიდა! პირველი ნაბიჯი კომერციულმა გაზეთმა გადადგა, მე-8 გვერდზე გადაიტანა გამომცემლის „ვინაობა“. ჩვენც ასე მოვიქეცით, ვინაიდან ხომ უნდა დავიწყოთ, არც იმის სათქმელად ვართ, მაინც ჟურნალისტიკა გვაქვს, მით უმეტეს ახლა, როგორც ჩვენ გვგონია. ახლახან გამოვიდა მთავრობის ოფიციალური ორგანო, გაზეთი „რესპუბლიკა“. ამ გაზეთშიც ყველა ეს მინიშნება მე-2 გვერდზეა (!). ჩვენთან არ შეიძლება. ატყდა ერთი ამბავი: არიქა, გაზეთი ფრონტის აღარ არისო. საქვეყნოდ ვაცხადებ: ქალბატონებო და ბატონებო, ამხ... ოხ, უკაცრავად, ფრონტელებო და არაფრონტელებო, გაზეთი ფრონტისაა, ფრონტისაა და ღმერთმა ხელიდან ნუ გამოგვაცალოს.

# ღია წერილი აკაკი ბაქრაძეს

## ოცნების წიგნი — მარადიული იმედი თუ... სასოწარკვეთის საგანი?

**ბატონო აკაკი,** მიუხედავად იმისა, რომ უაღრეს პატივს გცემთ როგორც უსაჩინოეს ქართველ საზოგადო მოღვაწესა და გულმხურვალე მამულიშვილს და თქვენი ერთ-ერთი თაყვანისმცემელი გახლავართ, 26 მაისს გაზეთ „თბილისში“ გამოქვეყნებულმა თქვენმა ღია წერილმა მაინც ერთობ უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე და განმაცვიფრა კიდეც.

ჯერ ერთი, თქვენს მიერ წარდგენილი ანალიზი 9 აპრილის შემდგომი მოვლენებისა — გარდახდილი ბრძოლის შემდეგ განბრძობილის იგავს მაგონებს. მივყვეთ ანალიზის მსვლელობას — „თუ ლაპარაკს რეალური შედეგი არ მოჰყვება, ხალხი დაიღლება, ცარიელი ლაპარაკის მოსმენა მოსწყინდება. გული გაუტყდება. იმედი დაეკარგება. ეროვნულ მოძრაობას ზურგს შეაქცევს. მაშინ გამოჩნდებიან კომუნისტები და იტყვიან: შეჩვეული ჭირი გერჩიოთ შეუჩვეველ ლხინს“. და თურმე მაშინ „დაბეჩავებულ“ და „სასოწარკვეთილ“ ქართველობას კომპარტია ისე გაირეკავს საითაც მოესურვება, როგორც უყოჩო ცხვარს.

დიდი ბოდიში, ბატონო აკაკი, მაგრამ ამ ანალიზიდან მარად უკვდავი და აწ განახლებული ქართული სულია ამოღებული. ქართულ გენს „შეჩვეულ ჭირზე“ უკეთესი ანდაზა უშვია: „ჯიში კაცს ლაგამივით მისწევსო“. სწორედ ეს ჯიში არ მოგვცემს ქართველობას გულის გატეხის, იმედის დაკარგვის, ეროვნული საქმის ზურგშექცევის და კომუნისტების გაყოლის უფლებას.

სრულიად გეთანხმებით, რომ „ქართული ეროვნული მოძრაობის გათიშვა რეალურ საფრთხედ იქცა“, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის თქმის უფლებას, ეროვნული მოძრაობა „ჩიხში მოექცა“ და გამოსავალს ველარ იპოვნისო.

ჟამთა ბრუნვის სარბიელზე მრავალჯერ უნახავს მტერსაც და მოყვარესაც, უკიდურესი საფრთხის წინ ერთ მუშტად შეკრული ქართველობა და ომახიანი ქართული სიტყვა: „ომი არ გაუჭირდება შენი დედ-მამის შვილსაო“.

თავს უფლებას მივცემ და 21-ე საუკუნის ტოტალურ პრობლემებზეც მოგახსენებთ ორიოდ სიტყვას:

ჯერ ერთი, ღვთის ნებითა და ჩემი ღრმა რწმენით 21-ე საუკუნეს ქართველი ერი თავისუფალი შეხვდება. მეორეც, ეროვნულობა რაღაც გარკვეულ საუკუნემდე არსებული (ჩვენს შემთხვევაში მე-20) მცნება არ არის, იგი მცნებაა უკუნითი უკუნისამდე. თუ კაცობრიობა ეროვნულ პრობლემებს არ მოაგვარებს, 21-ე საუკუნე არც ისეთი გრანდიოზული და კოსმოპოლიტური იქნება. არავინ არ გარბის მეზობლის მოსანახულებლად, თუ შინ არეულობა აქვს. ასევე კაცობრიობას არ ეცხელება სხვა პლანეტებზე განსასახლებლად, თუ დედამიწაზე მშვიდობა არ იქნება.

თქვენ გვაუწყეთ, რომ „აშშ-ის პრესა უკვე დღეს ბალტიისპირელებისა და ჩვენს მოთხოვნებს დაცინვით უწოდებს არა ეროვნულს, არამედ ტომობრივს“, ეს ამერიკელების საქმეა, ჩვენი საქმე კი თავისუფლების იდეის სიწმინდის რწმენაა. გარდა ამისა, ამერიკელები გენის გარეშე ნაციაა და მათთვის შეიძლება გაუგებარი იყოს, სულ მცირე 2 600 წლოვანი ისტორიის მქონე „მცირე ხალხის“ სწრაფვა თავისუფლებისაკენ; მით უმეტეს, რომ ამერიკის ხელმძღვანელობამ უღალატა ტრადიციულ დემოკრატიას და გორბაჩოვთან ჩარჩული გარიგების გზას დაადგა. ამიტომ, ამერიკელების გუნება-განწყობილებაზე ჩვენს სამომავლო გეგმებს ვერ ავაშენებთ.

და ბოლოს, ბატონო აკაკი, თქვენ საუბარი გაქვთ „ქართული ოცნების წიგნზე“, „ეგებ იგი ეროვნული მოძრაობის ერთიანობის საფუძვლად გამოდგეს“-ო. როგორც გავიგე, ეს იქნება მეცნიერული ნაშრომი, რომელიც მოიცავს ქართველთა აწმყოსა და სამომავლო ცხოვრების წესს (სასიცოცხლო პროგრამას). კი ბატონო, მაგრამ რა საჭიროა პესიმიზმის თანრთვა და საქვეყნო განგაში, დაღუპვის პირს ვართ მისულიო? პიროვნება შეიძლება დასჯაბნოს პესიმიზმმა და უიმედოდ განეწყოს მომავლისადმი, მაგრამ უიმედობის ერისთვის თავს მოხვევა ყოვლად დაუშვებელია. „ქართული ოცნების წიგნი“ უნდა იყოს — **ქართველთა ოცნების განხორციელების იმედი და არა სასოწარკვეთის საგანი** (პირადად მე ასე ავიქვი თქვენი განმარტება).

ბატონო აკაკი, კიდევ ერთხელ მოგიხდით ბოდიშს კადნიერებისათვის, მაგრამ ქართველებს გულგატეხილობის კი არა, გულის გამაგრების წერილები სჭირდებათ, რამეთუ თქმულა ქართველთაგან: „მტერნი არ შეგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითა“.

თაყვანისცემით
**სოსო ჯაჯანიძე.**

# რეალური საყრდენი?

**დიდ** საბჭოთა ენციკლოპედიაში წერია: „დოსააფი ეს არის მშრომელთა პატრიოტული ორგანიზაცია, რომლის მიზანია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება და მშრომელთა მომზადება სოციალისტური სამშობლოს დასაცავად. მისი წინამორბედი იყო თავდაცვის, ავიაციისა და ქიმიური მშენებლობის ხელშემწყობი საზოგადოება. 1948 წელს ჩამოყალიბდა დოსაფი — საბჭოთა არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოება. მისი მიზანია საზოგადოების ყოველი წევრის აღზრდა სოციალისტური სამშობლოს ინტერესების დასაცავად, მისი მიზანია ასევე ხალხში გააღვივოს საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი სიყვარული, მოსახლეობაში გაშწიოს სამხედრო ცოდნის პროპაგანდა, აღზარდოს ახალგაზრდობა საბჭოთა ხალხის გმირულ ტრადიციებზე და მოამზადოს იგი სამხედრო სამსახურისათვის“...

უკვე მთელი სერიოზულობით დაისვა საკავშიროდან საქართველოს დოსაფის გამოყოფის საკითხი. ადვილი შესაძლებელია, მის მიერ ყოველწლიურად მომზადებული 32 ათასი სხვადასხვა სპეციალისტი ეროვნული ორიენტაციის გამოდგეს, ასევე, როგორც დოსაფის ხელმძღვანელობა აცხადებს, მას შეუძლია დიდი როლი შეასრულოს ქართული ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბებაში, ქართველი ახალგაზრდობის სამხედრო-თავდაცვითს აღზრდაში. გამოითქვა აზრი, რომ რესპუბლიკის ცენტრალური თავდაცვითი ორგანიზაცია დოსაფი უნდა გარდაიქმნას თავდაცვის ხელშემწყობ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირად. აქედან გამომდინარე, აპირებენ სახელწოდების, დროშის, ღერბის შეცვლას, რის შემდეგაც იგი დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვის სამსახურში ჩადგება.

მინდა, ეს ყველაფერი ვირწმუნო, მაგრამ ერთი ეჭვი არ მასვენებს: მოახერხებს კი დღემდე საბჭოთა სამხედრო უწყებას დაქვემდებარებული და მისი ხელშემწყობი ორგანიზაცია ხვალიდან ეროვნული მიზნის სამსახურს? თუ მოახერხებს, მაშინ ზარაქალა მის ვაჟკაცობას. მხოლოდ ერთია საკითხავი, ვინ დაუჭერს მხარს დღეს საქართველოში ასეთი საზოგადოების არსებობას. თუმცა დოსაფის ახლადარჩეული ხელმძღვანელობა ბევრს გვპირდება. მერედა, შესძლებს დღევანდელობის მღელვარე ტალღაზე გადართვას. საჭირო ღონისძიებების გატარებას? ვისი იმედით აპირებს ფერიცვალებას?

კადრების საკითხი თავიდანვე უნდა გაირკვეს — ქართველმა საზოგადოებრიობამ ამთავითვე უნდა განსაზღვროს, თუ ვინ იქნება ღირსეული აღმზრდელი... და საერთოდ, ის აზრიც უთუოდ გასაზიარებელია, რომ თავისუფალი, დამოუკიდებელი, საქართველოს გარეშე ეროვნული საჯარისო ფორმირებებზე ლაპარაკიც ზედმეტია.

აქვე ერთიც მინდა აღვნიშნო: შარშან შემოდგომაზე მოსკოვში გაიმართა დოსაფის მეხუთე პლენუმი, სადაც რესპუბლიკური საზოგადოებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების საკითხი დაისვა. ჯერჯერობით არსებობს მხოლოდ დადგენილების პროექტი. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამა წლის ნოემბერში დოსაფის საკავშირო კონფერენციას ჩაატარებენ მოსკოვში, სადაც საბოლოოდ გადაწყდება რესპუბლიკური დოსაფების ბედი. „ნეტარ არიან მორწმუნენი“... ჩვენ ახლა ამ საქმეში მარტოოდენ რწმენით მოგვრილი ნეტარება ხელს არ მოგვცემს. არც არავის იმედით შეიძლება ყოფნა — არც იმისი, ვინც რესპუბლიკური დაქვემდებარების ნებისმიერი ორგანიზაციისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების მოლოდინში ოპტიმისტურად განწყობილა და მით-უმეტეს, არც იმისა, ვინც ამგვარ „თავისუფლებას“ გვპირდება.

— ჩვენ მშვენივრად გვესმის, — თქვა დოსაფის ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ ვლადიმერ გუდაძემ, — რომ დოსაფი უნდა გარდაიქმნას, შეიცვალოს სახელწოდება და შესაბამისი ატრიბუტიკა. ამისათვის განზრახული გვაქვს ჩავატაროთ რეფერენდუმი. დაე, ქართველმა ხალხმა გადაწყვიტოს, რა დავარქვათ და რაგვარი მიმართულება მივცეთ მის საქმიანობას. დღეისათვის სტიქიურად მოქმედებენ „შევარდენი“ და „ლეგიონერი“. დიდი სურვილია, რომ ამ ხასიათის ყველა ჯგუფი და კავშირი გაერთიანდეს ჩვენს მიერ შექმნილ ასოციაციაში და არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე დაყრდნობით შევუდგეთ ქართველი ახალგაზრდობის სამხედრო აღზრდას“.

შორს აღარ არის ის დრო, როცა საქართველოს ეროვნული არმია ეყოლება, არმია, რომელსაც დიდმა თუ პატარამ ხელი უნდა გაუმართოს, დააფინანსოს. იქნება კი დღეს არსებული დოსაფი ის ძალა, ეროვნულ არმიას რომ აღზრდის და მერე საქართველოს ინტერესებს დაიცავს? აღბათ, აქაც ძალთა გაერთიანება უნდა მოხდეს. დოსაფის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ ყოველმხრივ მზად არიან მომავალი ეროვნული საჯარისო ფორმირებებისათვის ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჯანსაღი კადრი აღზარდონ. თუნდაც ამიტომ, რეფერენდუმის ჩატარება გარდუვალი მომენტი იქნება ჭეშმარიტი აზრის მისაკვლევად.

ახლა მოდით, ცოტა რამ ქართველ ახალგაზრდებსაც ვკითხოთ. იმ ბიჭებს, ოკუპანტების არმიაში სამსახურზე პროტესტს რომ აცხადებენ: ისურვებენ კი აღმზრდელებად საბჭოთა არმიაში გამოწრთობილ ადამიანებს? ნამდვილად ის ადამიანები არიან, ვინც საჭიროების შემთხვევაში სწორ არჩევანს მოახდენენ და ჩვენ რომ გვინდა და გვჭირდება, ისეთ სულს შთაბერავენ ამ საქმეს?

თბილისში დოსაფს ოთხი სკოლა და აეროკლუბი აქვს. ორ სკოლაში ავტოსპეციალისტებს ამზადებენ. ერთში — საინჟინროს, მეორეში — რადიოსპეციალისტებს. თავდაცვითი ორგანიზაციების სკოლები განლაგებულია შესაფერის შენობებში, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. როგორც თავად ამბობენ, ეხმარებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, ტექნიკუმებს დაწყებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციასა და მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში. დოსაფი ტექნიკური და გამოყენებითი სპორტის განვითარებისთვისაც იღვწის. თბილისში დანერგილია და ვითარდება ტექნიკური და გამოყენებითი სპორტის ოცზე მეტი სახეობა: სასროლო, ავტო-მოტო, საავიაციო, სამოდელო, საპარაშუტო, დელტაპლანი, წყალქვეშა ცურვა... გვითხრეს, რომ ორიათას ხუთასზე მეტი ახალგაზრდა ტექნიკურ-გამოყენებით სპორტის სახეობას ეუფლება ქალაქის სპორტულ-ტექნიკურ კლუბსა და სკოლაში. თუმცა, აქაც მინდა შევედავო: ერთეული გამონაკლისის გარდა, რომელ სპორტულ პაექრობაში გამოუჩენია თავი იმ ორიათას ხუთასიდან თუნდაც ხუთ ქართველ პარაშუტისტს, დელტაპლანერისტს, წყალქვეშა მცურავს..

დასაწყისში აღვნიშნე იმ გადაწყვეტილების შესახებ, რითაც დოსაფის ხელმძღვანელობა ეცდება, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ორგანიზაციის წესდება მიიღოს, გვპირდებიან, რომ ორგანიზაციის შემოსავალი მთლიანად რესპუბლიკური საბჭოს განკარგულებაში დარჩება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებას მოხმარდება.

ქალაქის თავდაცვითი ორგანიზაცია წლიურად ნახევარი მილიონი მანეთის ღირებულების ლატარეას ავრცელებს. სახსრების ნაწილით ბოლო წლებში ორთაჭალაში აგებულია ცხრასართულიანი შენობა, სადაც საავტომობილო სკოლა, დოსაფის ცენტრალური და საქალაქო კომიტეტებია განლაგებული. რუსთავის გზატკეცილის მეთვრამეტე კილომეტრზე აგებულია ავტო-მოტო კომპლექსი, რომლის მშენებლობა ხუთი მილიონი მანეთი დაჯდა. მალე დასრულდება საცურაო კომპლექსი სამი მილიონი მანეთის ღირებულებისა, აგებულია პნევმატური ტირები, სასროლეთი და სხვა ობიექტები.. ასეთია დოსაფის დღევანდელობა.

თუკი დოსაფი მართლა გარდასაქმნელადაა მოწოდებული, მოდით, ერთ რამეში შევთანხმდეთ: მამულის დასაცავად ქართველი ახალგაზრდობა სხვა, მეტად დაინტერესებულმა და ჭეშმარიტად გულშემატკივარმა საზოგადოებამ მოგვიმზადოს. ხოლო რაც შეეხება გარდაქმნის გზაზე დამდგარ ჩვენს დოსაფს, როგორც დარწმუნდით, საკმაოდ ფართო ასპარეზი აქვს ტექნიკური ბაზებითა და, გნებავთ, მატერიალურადაც, ხელი ვაუმართოს ეროვნული საჯარისო ფორმირებების ჩამოყალიბების რთულ, მაგრამ კანონზომიერ პროცესს, იქნებ მისი რეალური საყრდენიც კი გახდეს...

რუსუდან ნიკურაძე

ფასი 50 კაპ.
ინდექსი 68447

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჟანგავის ქ. № 17. ტელ.: 998-681.
იბეჭდება საქართველოს კპ ცკ გამომცემლობაში

XI

რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი